

**აივ-ინფექცია/შიდსის საკვანძო პოპულაციებში
გენდერული ნიშნით ძალადობასა და ოჯახში
ძალადობაზე რეაგირების, დაცვის, დახმარებისა
და რეაბილიტაციის სამოქმედო გეგმა
2020-2023**

მადლიერების გამოხატვა

დოკუმენტი მომზადებულია შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის პროექტის „აივ ინფექცია/შიდსის საკვანძო პოპულაციებთან მომუშავე სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციების პერსონალის გენდერული ძალადობის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება/სწავლება/ინფორმირება და ძალადობის ამ ფორმების პრევენციის, გამოვლენის და მათზე რეაგირების სამოქმედო გეგმის შემუშავება“ ფარგლებში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის და საინფორმაციო, სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“ მიერ, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ტექნიკური მხარდაჭერით.

ანგარიშის ავტორები მადლობას უხდიან პროცესში ჩართულ სამუშაო ჯგუფს, ყველა მონაწილე ორგანიზაციას და მათ წარმომადგენლებს, დოკუმენტის შემუშავების პროცესში შეტანილი წვლილისათვის.

დოკუმენტში ასახული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს დონორის პოზიციას, მათ შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორთა ჯგუფი.



სარჩევი

ტერმინთა განმარტება	3
1.სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი და მეთოდოლოგია	4
2. შესავალი	5
2.1. გენდერული ნიშნით ძალადობა და მისი ურთიერთქმედება აივ ინფექციასთან	5
3. სიტუაციური ანალიზი	8
3.1. აივ ინფექცია და საკვანძო პოპულაციები საქართველოში	8
3.2. გენდერის ნიშნით ძალადობა აივ/შიდსის საკვანძო პოპულაციებში - ქვეყანაში არსებული სიტუაცია	10
3.3. გენდერული ნიშნით ძალადობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო და პოლიტიკა.....	13
3.4. აივ შიდსის საკანონმდებლო ჩარჩო, პოლიტიკა და პრაქტიკა	18
3.5. პოლიტიკის აღსრულების კუთხით არსებული სისტემური და სტრუქტურული ბარიერები.....	18
3.6. მულტი-სექტორული კოორდინაცია	19
4. სტარტეგიული მიმართულებები	20
5. სამოქმედო გეგმა	29
6. დანართები	46

ტერმინთა განმარტება

გენდერი - სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე („გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი)

გენდერული იდენტობა – ადამიანის გენდერული თვითაღქმა, როდესაც ის თავს მიაკუთვნებს რომელიმე გენდერს. პიროვნება შეიძლება თვითიდენტიფიკაციას ახდენდეს მამაკაცად ან ქალად. ზოგიერთ შემთხვევაში კი მისი თვითაღქმა მამაკაცურობისა და ქალურობის სოციალურ კონსტრუქტებს შორის შეიძლება იყოს ან საერთოდ სცილდებოდეს მას. პიროვნების გენდერული იდენტობა და დაბადების სქესი შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. გენდერული იდენტობა განსხვავდება სექსუალური ორიენტაციისგან.

გენდერული მენსტრიმინგი - გენდერულად სენსიტიური პოლიტიკისა და მიდგომების ჩამოყალიბებისა და იმპლემენტაციის პროცესი, მამაკაცებსა და ქალებს შორის კარგად დამკვიდრებული თუ ახლადწარმოქმნილი უთანასწორობების გამოვლენა და მათი გამოსწორება. ეს გულისხმობს პოლიტიკისა და მიდგომების დამკვიდრებას, რომელიც ითვალისწინებს ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული ინტერესებსა და საჭიროებებს. მომსახურება უნდა შეფასდეს გენდერული თანასწორობის ჭრილობი და მიზნად დაისახოს არსებული უთანასწორობის გამოსწორება გენდერულად სენსიტიური მიდგომების გზით.

ლგბტი – აბრევიატურა, რომელსაც იყენებენ გეი (ჰომოსექსუალის სინონიმი. ტერმინი ხშირად გამოიყენება მხოლოდ მამაკაცებთან მიმართებაში და აღნიშნავს მამაკაცს, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს მამაკაცი), ლესბოსელი (ქალი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს ქალი), ბისექსუალი (ქალი ან მამაკაცი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს როგორც საკუთარი, ისე სხვა სქესის ადამიანი), ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების აღსანიშნავად.

მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან (MSM) – ტერმინი მოიცავს სექსუალურ ქცევას, ვიდრე იდენტობას და მიემართება ყველა იმ მამაკაცის ქცევას, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცთან, განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა.

ქალი, რომელსაც სექსი აქვს ქალთან (WSW) – ეპიდემიოლოგიური კატეგორია, რომელიც უფრო სექსუალურ ქცევას შეესაბამება, ვიდრე იდენტობას. გამოიყენება ყველა იმ ქალის ქცევის აღსაწერად, რომელსაც სექსი აქვს ქალთან განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა.

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ნებისმიერ ქმედებას ოჯახურ თუ საშინაო ერთობაში, არსებულ თუ ყოფილ მეუღლეებს/პარტნიორებს შორის, თუ მშობლების მხრიდან, მიუხედავად იმისა, მოძალადე ცხოვრობს ან ცხოვრობდა თუ არა მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილას.

ტრანსგენდერი – ქოლგა ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ადამიანებს, ვისი გენდერული იდენტობა, გამოხატვა და ქცევა განსხვავდება მისი ბიოლოგიური სქესის ტიპური მახასიათებლებისგან. ეს ტერმინი გულისხმობს ასევე ტრანსსექსუალებს, ტრავესტებს, ტრანსვესტიტებს, ტრანსგენდერებს, ქროსდრესერებს, და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებს. ტრანსგენდერი ადამიანები შეიძლება იყვნენ ჰეტეროსექსუალები, ლესბოსელები, გეები ან ბისექსუალები. **ტრანსგენდერი კაცი** – ადამიანი, ვინც დაბადებისას მიაკუთვნეს მდედრობით სქესს, მაგრამ ახდენს საკუთარი თავის, როგორც მამაკაცის იდენტიფიკაციას. ტრანსგენდერ მამაკაცებს ასევე უწოდებენ FtM-ს (Female-to-Male). **ტრანსგენდერი ქალი** – ადამიანი, რომელიც დაბადებისას მიაკუთვნეს მამრობით სქესს, მაგრამ თვითიდენტიფიკაციას ახდენს როგორც ქალი. ტრანსგენდერ ქალს ასევე უწოდებენ MtF-ს (Male-to-Female).

ინტერსექსი – ადამიანი, რომლის ანატომია არ შეესაბამება ისეთ ბიოლოგიურ სტანდარტებს, რომელიც აღიარებს მხოლოდ ორ სქესს – მდედრი და მამრი. ინტერსექსუალობა არ თავსდება მხოლოდ მდედრის ან მხოლოდ მამრის ბიოლოგიურ მახასიათებლებში, რაც შეიძლება გამოიხატოს როგორც ქრომოსომულ ან ჰორმონალურ, ასევე გენიტალურ დონეზე. ინტერსექსუალობა შეიძლება დაბადებისთანავე შესამჩნევი იყოს ან მოგვიანებით განვითარდეს.

ჰეტეროსექსიზმი - ინსტიტუციური პრაქტიკებით გამყარებული იდეოლოგიური სისტემა, რომელიც ახდენს არაჰეტეროსექსუალური ქცევის, იდენტობის, ურთიერთობებისა და ჯგუფის მარგინალიზაციასა და სტიგმატიზაციას.

1. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი და მეთოდოლოგია

მოცემული სამოქმედო გეგმა შემუშავდა შიღსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის პროექტის „აივ ინფექცია/შიღსის საკვანძო პოპულაციებთან მომუშავე სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციების პერსონალის გენდერული ძალადობის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება/სწავლება/ინფორმირება და ძალადობის ამ ფორმების პრევენციის, გამოვლენის და მათზე რეაგირების სამოქმედო გეგმის შემუშავება“ ფარგლებში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის და საინფორმაციო, სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომას“ მიერ, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ტექნიკური მხარდაჭერით.

შემუშავებული სამოქმედო გეგმა დაეფუძნა ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში წინასწარ ჩატარებულ **“აივ-ინფექცია/შიღსის საკვანძო პოპულაციებში გენდერული ნიშნით ძალადობისა და ოჯახში ძალადობისაგან დაცვისა და დახმარების შესაძლებლობების, გამოწვევებისა და საჭიროებების მიმოხილვას”**, რომელიც მოიცავდა აივ-ინფექცია/შიღსის საკვანძო პოპულაციებთან მიმართებით, ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის მარეგულირებელი ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩოს, პოლიტიკის და მხარდაჭერის მექანიზმების მიმოხილვას, საჭიროებების ანალიზსა და რეკომენდაციების შემუშავებას მოწყვლადი ჯგუფებში ძალადობის პრევენციის, რეაგირებისა და დახმარების უზრუნველსაყოფად.

მიმოხილვის სტრუქტურა და მიმოხილული დოკუმენტების შერჩევა დაეფუძნა ოთხ ძირითად სექციას:

ა) გენდერი, გენდერული ნიშნით ძალადობა და აივ/შიღსი: მოცემული სექცია მოიცავს გენდერული ნიშნით ძალადობასა და აივ ინფექცია/შიღსს შორის კავშირების და მათი ურთიერთქმედების მიმოხილვას. მათ შორის ფოკუსს იმაზე, თუ როგორ და რატომ ზრდის გენდერული ნიშნით ძალადობა აივ/შიღსის მიმართ მოწყვლადობას, და პირიქით, როგორ ზრდის აივ/შიღსი გენდერული ნიშნით ძალადობისადმი მოწყვლადობას;

ბ) აივ/შიღსის მაღალი რისკის ჯგუფების, გენდერული ნიშნით ძალადობის საჭიროებები: მოცემული სექცია მოიცავს აივ/შიღსის მაღალი რისკის ჯგუფებში გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართ მოწყვლადობის და სპეციფიური საჭიროებების იდენტიფიცირებას თითოეული ჯგუფისათვის;

გ) გენდერული ნიშნით ძალადობისა საკანონმდებლო ჩარჩო და პოლიტიკა - მოცემული სექცია მოიცავს გენდერული ნიშნით ძალადობისა საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზს აივ/შიღსის საკვანძო პოპულაციების პერსპექტივის გათვალისწინებით;

დ) ძალადობაზე რეაგირების ინსტიტუციური მექანიზმები და აივ შიღსის მომსახურებები - მოცემული სექცია მოიცავს ძალადობაზე რეაგირებისა და აივ/შიღსის მომსახურებებს შორის ურთიერთკავშირების დადგენას, და ნაკლოვანებების გამოვლენას.

მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებისა და გამოწვევების შესაბამისად შემუშავდა, საკვანძო პოპულაციების ძალადობისაგან დაცვისა და დახმარების რეკომენდაციები, რომლებიც მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

- აივ ინფექციის საკვანძო პოპულაციების გენდერზე, გენდერული ნიშნით ძალადობასა და მასზე რეაგირების შესაძლებლობებზე ინფორმირებულობისა და ცნობიერების ღონის ამაღლება
- გენდერული ნიშნით ძალადობაზე რეაგირების საკანონდებლო გარემოს გაუმჯობესება, აივ ინფექციის საკვანძო პოპულაციების სპეციფიკის გათვალისწინებით
- სისტემური და ინსტიტუციური ძალადობისა და სტიგმა-დისკრიმინაციის აღმოფხვრა
- აივ ინფექციის საკვანძო პოპულაციების გენდერული ნიშნით ძალადობაზე რეაგირების მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა და ინსტიტუციური სენსიტიურობის გაზრდა
- გენდერულად სენსიტიური მიდგომის დანერგვა აივ ინფექციის მომსახურებებში
- კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესება.

მიმოხილვის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები, საფუძვლად დაედო აივ-ინფექცია/შიდსის საკვანძო პოპულაციებში გენდერული ნიშნით ძალადობასა და ოჯახში ძალადობაზე რეაგირების, დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სტრატეგიული სამოქმედო მიმართულებების და წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

როგორც მიმოხილვის, ისე მოცემული სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდა 3 ექსპერტისგან შემდგარი გუნდი, რომელთა შერჩევა მოხდა თემატური ექსპერტიზის და გამოცდილების კრიტერიუმების მიხედვით. ექსპერტთა გუნდი მოიცავდა: გენდერული ნიშნით ძალადობის ექსპერტს, გენდერისა და ტრეფიკინგის ექსპერტს, აივ/შიდსის და მაღალი რისკის ჯგუფების ექსპერტს.

ექსპერტთა მიერ შემუშავებული პროდუქტების, მათ შორის სტრატეგიული მიმართულებებისა და სამოქმედო გეგმის განხილვას და ვალიდაციას ახდენდა აივ/შიდსისა და გენდერული ნიშნით ძალადობის სფეროებში მომუშავე დაინტერესებული მხარეების, მათ შორის უფლებადამცველი და სერვისის მიმწოდებელი სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციების, სახელმწიფო უწყებების და საერთაშორისო პარტნიორების სამუშაო ჯგუფი.

მოცემული სამოქმედო გეგმა თანხმდებარა შემდეგ ეროვნულ დოკუმენტებთან:

- საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისათვის
- გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა
- ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა
- ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა
- საქართველოს აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმა 2019-2022

გეგმა მიზნად ისახავს, მოახდინოს აღნიშნული ეროვნული სამოქმედო გეგმებისა და სტრატეგიების ინფორმირება და უზრუნველყოს მათში აივ/შიდსის საკვანძო პოპულაციების გენდერული ნიშნით ძალადობასა და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საჭიროებების და შესაბამისი საპასუხო ქმედებების ინტეგრირება.

2. შესავალი

2.1. გენდერული ნიშნით ძალადობა და მისი ურთიერთქმედება აივ ინფექციასთან

გენდერული ნიშნით ძალადობა წარმოადგენს ფართომასშტაბიან პრობლემას როგორც ადამიანის უფლებების დარღვევის, ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით.

გარდა იმისა, რომ ძალადობა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მსხვერპლის თავისუფლებას, თანასწორობასა და ღირსებას, იგი ასევე მოქმედებს მის ჯანმრთელობაზე, ხოლო რიგ შემთხვევაში, შეიძლება უკავშირდებოდეს სასიკვდილო გამოსავალსაც კი. გარდა ფიზიკური ზიანისა, ძალადობა შესაძლოა გახდეს მაპროვოცირებელი რიგი ფსიქოლოგიური პრობლემებისა და გამომწვევი ფაქტორი აივ-ინფექციით ინფიცირების, ასევე სარისკო ქცევების, მაგალითად ნარკოდამოკიდებულების და ალკოჰოლდამოკიდებულების განვითარებისა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, აივ-ით ინფიცირების ფაქტორები და მათი სოციალური და ეკონომიკური შედეგები არათანაბარზომიერად მიემართება ქალებსა და მამაკაცებს. ეს დაკავშირებულია მათ შორის არსებულ ბიოლოგიურ განსხვავებასთან, სექსუალური ქცევებთან და გენდერული უთანასწორობის შედეგად განპირობებულ ბარიერებთან რესურსებზე წვდომისა და გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების განხორციელების კუთხით.

გენდერული ნიშნით ძალადობა პირდაპირ დაკავშირებულია მწვავე და ხანგრძლივ ჯანმრთელობის დაზიანებებსა და გართულებებთან, მათ შორის აივ ინფექციასთან. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაეროს აივ/შიდსის პროგრამის თანახმად ძალადობა, მათ შორის გენდერული ნიშნით ძალადობა, წარმოადგენს, როგორც აივ ინფექციის გავრცელების, ისე აივ/შიდსის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის მნიშვნელოვან ფაქტორს. გენდერული უთანასწორობა და ქალთა და გოგონების მიმართ ძალადობა ამწვავებს აივ ინფიცირების რისკებს და აუარესებს ჯანმრთელობის გამოსავლებს.

დამატებით, აივ ინფექციას და ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობას ახასიათებს საერთო რისკ-ფაქტორები, როგორებიცაა, სიღარიბე, ეკონომიკური სტრესი, გენდერული უთანასწორობა, სოციალური ნორმები, ქალისა და მამაკაცის ქცევის თავისებურებების მკვეთრად გამოჩენილი საზოგადოებრივი აღქმა, რის გამოც გარკვეული ქცევა დაშვებულია მამაკაცისათვის და არა ქალისათვის ან პირიქით.

გაეროს აივ/შიდსის პროგრამის 2018 წლის აივ/შიდსის გლობალური ანგარიშის მიხედვით, გენდერული უთანასწორობა და ინტიმური პარტნიორის ძალადობა, ზრდის ქალებისა და გოგონების მოწყვლადობას აივ ინფექციის, სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების, არასასურველი ორსულობისა და დედათა სიკვდილიანობის მიმართ. სექსუალური ძალადობა და გაუპატიურება, შესაძლოა აივ-ით ინფიცირების წყარო გახდეს.

აივ/შიდსზე გლობალური პასუხის ფარგლებში არსებული მიდგომები, ძალადობას ინტიმურ ურთიერთობებში განიხილავს არა მხოლოდ შიდსის ეპიდემიის გამომწვევ მიზეზად, არამედ მის მიერ გამოწვეულ შედეგადაც.

გლობალურად, ქალები გაცილებით მოწყვლადები არიან აივ ინფექციის მიმართ. ძალადობა ან ძალადობის შიში მნიშვნელოვნად ართულებს ქალის მიერ პარტნიორისადმი უსაფრთხო სექსის მოთხოვნის, ისევე როგორც აივ-ინფექციისა და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებებით სარგებლობის შესაძლებლობას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის აივ-ით ინფიცირების რისკს, დაბალი ხელმისაწვდომობისა და სარისკო ქცევის პირობებში.

გლობალურად არსებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ ქალებში, რომლებიც განიცდიან გენდერული ნიშნით ძალადობას, აივ-თან დაკავშირებული სარისკო ქცევის ალბათობა გაცილებით მაღალია (მაგალითად კონდომის გამოუყენებლობა), ამასთან აივ-დადებითი ქალები დგანან ძალადობის მომატებული რისკის წინაშე, რაც ხშირად უკავშირდება აივ-დადებითი სტატუსის გაგების შედეგად წყვილებს შორის წარმოშობილ კონფლიქტურ სიტუაციებს.

აივ ინფექციის მაღალი რისკის ჯგუფები, მათ შორის ქალი სექს მუშაკები, ტრანსგენდერი ქალები, ნარკოტიკების მომხმარებელი ქალები განიცდიან გენდერული ნიშნით ძალადობის კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს, როგორც ინტიმური პარტნიორების მხრიდან, ისე სისტემურ ძალადობას, მათ შორის სახელმწიფოს მხრიდან. აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენელი ქალები, არიან აივ ინფიცირების და აივ-თან დაკავშირებული სიკვდილიანობის გაცილებით მაღალი რისკის ქვეშ, საზოგადოების მიერ მათი მარგინალიზებისა და აივ ინფექციის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის ბარიერების გათვალისწინებით.

გენდერული ნიშნით ძალადობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ლგბტ თემის აივ/შიდსისადმი მოწყვლადობაზე. 2017 წელს არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ჰეტეროსექსუალ მამაკაცებთან შედარებით, გეი და სხვა მამაკაცებს, რომლებსაც სექსობრივი კავშირი აქვთ მამაკაცებთან (მსმ) ჰქონდათ აივ ინფიცირების 28-ჯერ მაღალი რისკი.

ლგბტ თემის წევრები ხშირად ხდებიან ოჯახის მხრიდან დისკრიმინაციის და გარიყვის მსხვერპლნი. ოჯახის მიერ გარიყვის გამო ლგბტ თემის წევრებს 6-ჯერ უფრო ხშირად ემართებათ დეპრესია, 3-ჯერ უფრო ხშირად მოიხმარენ ნარკოტიკებს და 3-ჯერ ხშირად აქვთ რისკის შემცველი სექსუალური პრაქტიკები ზოგად მოსახლეობასთან შედარებით. რაც, მათ განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის აივ-ით ინფიცირების კუთხით. ლგბტ ადამიანებს ხშირად აქვთ გენდერული ნიშნის გამო დასაქმებისა და საცხოვრებლის პრობლემა. ფინანსური პრობლემები უბიძგებს ამ ჯგუფის წარმომადგენლებს სექს სამუშაოში ჩართვისაკენ რაც თვის მხრივ აივ ინფექციის კუთხით მაღალი რისკის შემცველია.

განსაკუთრებით მწვავედ დგას ეკონომიკური პრობლემები **ტრანსგენდერი ქალების** წინაშე. ტრანსგენდერი ქალების სრული უმრავლესობისთვის შემოსავლის წყარო სექს-სამუშაოა, დანარჩენები კი მომსახურების სფეროში ან არასამთავრობო ორგანიზაციებში არიან დასაქმებული, ან საერთოდ არ აქვთ ანაზღაურებადი სამუშაო. ქამინგაუთის და სამსახურის დაკარგვის შიში ხშირად სამსახურში ნეგატიური განწყობების ატანას აიძულებს ტრანსგენდერ ადამიანებს; სამსახურში დისკრიმინაციის შემთხვევაში კი მათი მხრიდან სამართლებრივი დავის დაწყება ბევრ წინააღმდეგობებს უკავშირდება.

სექს-მუშაკები მსოფლიოს მასშტაბით განიცდიან ძალადობისა და ადამიანის უფლებათა სხვადასხვა დარღვევებს. ძალადობა, ხშირ შემთხვევაში, განპირობებულია სექს-მუშაკთა მიმართ სტიგმითა და დისკრიმინაციით, რასაც კიდევ უფრო ამწვავებს სექს-სამუშაოს კრიმინალიზება/პენალიზება. სექს-მუშაკთა მიმართ ძალადობა, ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენს გენდერულ ძალადობას, რომელზედაც გავლენას ახდენს დისკრიმინაციის სხვა ფორმები. მდგომარეობა განსაკუთრებით მწვავე და არასახარბიელოა იმ ქალებისთვის (მათ შორის ტრანსი ქალებისთვის), რომლებიც ქუჩაში და/ან დაბალი/საშუალო დონის დახურულ დაწესებულებებში მუშაობენ. სექს-მუშაკები ხშირად ხდებიან სამუშაოდან გამომდინარე სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი.

ნარკოტიკების მომხმარებელი ქალების მოწყვლადობა გენდერული ნიშნით ძალადობისა და აივ ინფექციის მიმართ უკავშირდება, როგორც სოციალურ და გარემო ფაქტორებს, ისე უშუალოდ ნარკოტიკების მოხმარებას. იმასთან ერთად, რომ ნარკოტიკების მოხმარება თავად შეიცავს აივ ინფიცირების რისკებს, უთანასწორო სოციალური ნორმები და ვიქტიმიზაცია მნიშვნელოვნად ამცირებს ქალების ხელმისაწვდომობას ჯანდაცვის მომსახურებებზე, მათ შორის ზიანის შემცირებაზე, აივ ინფექციის პრევენციაზე, დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე.

ნარკოტიკების მომხმარებელი ქალზე მოძალადე ხშირ შემთხვევაში მისი ინტიმური პარტნიორია. ინტიმური პარტნიორის ძალადობისა და ქალებში ნარკოტიკების მოხმარების ურთიერთკავშირები, წარმოადგენს მანკიერ წრეს, როდესაც ნარკოტიკების მოხმარება მნიშვნელოვნად ზრდის პარტნიორის მხრიდან ძალადობის ალბათობას და რისკს, და ამასთანავე წარმოადგენს დამაბრკოლებელ ფაქტორს ქალის მიერ ძალადობრივი გამოცდილებისგან თავის დაღწევის კუთხით. ქალები, კაცებთან შედარებით, გაცილებით უფრო მეტად განიცდიან სტიგმას ნარკოტიკების მოხმარების გამო. მეტიც, ნარკოტიკების მოხმარების გამო, ისინი ხშირად მარგინალიზებულნი და დისკრიმინირებულნი არიან თავად ნარკოტიკების მომხმარებელი კაცების მხრიდანაც. ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული რეპრესიული პოლიტიკა და პრაქტიკა, მნიშვნელოვნად ამწვავებს მათ მოწყვლადობას, მათ შორის ძალადობის მიმართ.

გენდერული ნიშნით ძალადობის გავლენა აივ/შიდსის საკვანძო პოპულაციებზე მოიცავს რამდენიმე დონეს, მათ შორის ის მნიშვნელოვნად ამცირებს ქალების, ლგბტ თემის და სხვა მაღალი რისკის ჯგუფების ხელმისაწვდომობას აივ ინფექციის ტესტირებაზე, მკურნალობაზე, მკურნალობაზე დამყოლობაზე, ისევე როგორც პრევენციის, მათ შორის კონდომის გამოყენების და პრე და პოსტ ექსპოზიური პროფილაქტიკის მომსახურებებზე.

ნიმანდობლივია, რომ აივ-დადებითი ადამიანები, თავიანთი სტატუსის გამო, ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლი. თუმცა, აივ-დადებითი ქალები, მამაკაცებთან შედარებით, ორმაგად მოწყვლადნი

არიან ძალადობის სხვადასხვა ფორმებისა და დისკრიმინაციის მიმართ, რასაც საზოგადოებაში ქალების დაბალი კულტურული, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებს.

გარდა ამისა, აივ-შიდსთან დაკავშირებული სტიგმა, განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის აივ-დადებითი სტატუსის მქონე ქალებს. აივ-სტატუსის ქონა, რაც მიუღებელ სარისკო ქცევასთან ასოცირდება, ზოგადად ქალებისადმი დაწესებული მაღალი მორალური სტანდარტის გამო, საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მიუღებელია. ამიტომ აივ-დადებითი სტატუსის მქონე ქალები უფრო მეტად ხდებიან საზოგადოებისა და თემის მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლნი, რაც მათ ვერპალურ შეურაცხყოფაში, გაკიცხვაში, იზოლირებაში, იგნორირებასა და თემიდან გარიყვაშიც კი შეიძლება გამოიხატოს.

აივ/შიდსის საკვანძო პოპულაციების მოწყვლადობა როგორც აივ ინფექციისადმი, ისე გენდერული ნიშნით ძალადობისადმი კიდევ უფრო მწვავედბა სისტემური ძალადობის, ჰომოფობიისა და სტიგმა-დისკრიმინაციის ფონზე. ლგბტ თემის მარგინალიზება, სექს-სამუშაოს კრიმინალიზაცია/პენალიზება და ნარკოტიკების მოხმარების კრიმინალიზაცია, ხელს უწყობს ამ ჯგუფების იზოლაციას და ზღუდავს მათ ხელმისაწვდომობას როგორც სოციალურ, ისე ჯანდაცვის, მათ შორის აივ/შიდსის მომსახურებებზე.

3. სიტუაციური ანალიზი

3.1. აივ ინფექცია და საკვანძო პოპულაციები საქართველოში

საქართველო მიეკუთვნება აივ ინფექციის დაბალი გავრცელების მქონე ქვეყნებს, პრევალენტობის მაჩვენებელი ზრდასრულ მოსახლეობაში წარმოადგენს 0.4%-ს (0.3-0.4).

საქართველოში, აივ ინფექციის პირველი შემთხვევა აღმოჩენილი იქნა 1989 წელს, ხოლო 2020 წლის 5 მარტის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია 8204 აივ ინფიცირების შემთხვევა, მათ შორის 6125 მამაკაცი და 2079 ქალი. რეგისტრირებულ შემთხვევათა შორის შიდა განუვითარდა 4271 პაციენტი, ხოლო 1660 ადამიანი გარდაიცვალა. საქართველოში, აივ ინფიცირებული ადამიანების შეფასებით, მაჩვენებელი უტოლდება 10,500 ადამიანს. ქვეყანაში აღინიშნება ყოველწლიურად გამოვლენილი ახალი შემთხვევების სტაბილური ზრდა. 2019 წელს გამოვლინდა ინფიცირების 668, ხოლო 2020 წლის 5 მარტისათვის გამოვლინდა 102 ახალი შემთხვევა.

მიუხედავად ზოგად მოსახლეობაში ინფექციის დაბალი გავრცელებისა, ქვეყანა დგას მაღალი რისკის ჯგუფებში, მათ შორის ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში, მათ სქესობრივ პარტნიორობასა და მსმ პოპულაციაში, კონცენტრირებული ეპიდემიის წინაშე.

აივ ინფექციის შემთხვევათა გადაცემის გზების მიხედვით განაწილების თანახმად, შემთხვევათა 48.5% მოდის ჰეტეროსექსუალური კონტაქტზე, 37.8% ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებზე, ხოლო 11.3% ჰომო და ბისექსუალურ კონტაქტებზე.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში შეინიშნება ნარკოტიკების ინექციური მომხმარებით აივ ინფექციის გადაცემის შემთხვევათა მკვეთრი შემცირება, ხოლო ჰეტეროსექსუალური და ჰომო და ბისექსუალური კონტაქტებით გადაცემის მაჩვენებლების მკვეთრი ზრდა. აღნიშნული ტენდენცია ერთის მხრივ ცხადყოფს ინფექციის გავრცელებას ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების სქესობრივ პარტნიორ ქალებში, ხოლო მეორეს მხრივ თანხვედრაშია მსმ პოპულაციაში აივ ინფექციის მაღალ და მზარდ პრევალენტობასთან. არსებობს მოსაზრება, რომ ჰეტეროსექსუალური კონტაქტებით გადაცემის შემთხვევათა მნიშვნელოვანი წილი მოდის მსმ პოპულაციაზე, თუმცა ქვეყანაში არსებული ჰომოფობიისა და სტიგმა-დისკრიმინაციის ფონზე მათი დიდი ნაწილი ამჯობინებს არ გაამხილოს საკუთარი იდენტობა და სარისკო ქცევის ხასიათი.

აივ შიდსის ეროვნული პასუხის ორ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს:

- **აივ ინფიცირების შემთხვევათა გამოვლენა** - 2018 წლის მონაცემების მიხედვით აივ ინფიცირებულ ადამიანთა მხოლოდ 59%-მა იცოდა საკუთარი სტატუსის შესახებ. ადამიანებმა რომლებმაც არ იციან საკუთარი სტატუსი, ერთის მხრივ აგვიანებენ მკურნალობის პროგრამაში ჩართვას, რასაც შესაძლოა სავალალო შედეგები მოჰყვეს მათი ჯანმრთელობისა და

სიცოცხლისათვის. ასევე ისინი აგრძელებენ სარისკო ქცევას და წარმოადგენენ ინფექციის გავრცელების წყაროს, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში ეპიდემიის გავრცელებას.

- **შემთხვევათა გამოვლენა გვიან სტადიაზე** - უკანასკნელი წლების განმავლობაში ახალ გამოვლენილ შემთხვევათა ნახევარზე მეტი (51%-55%) გვიან ჩაერთი მკურნალობაში (CD4 უჯრედების რაოდენობა <350), ხოლო 35%-ს უკვე ჰქონდა განვითარებული შიდსი (CD4 <200). გვიან სტადიაზე ინფექციის გამოვლენა წარმოადგენს ქვეყანაში აივ-თან ასოცირებული სიკვდილიანობის წამყვან მიზეზს.

3.1.1. მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან

2018 წელს ჩატარებული პოპულაციის ზომის შეფასების თანახმად საქართველოში მსმ პოპულაცია შეადგენს 15-64 წლის ასაკის მამაკაცთა პოპულაციის 1.55%-ს (1.01% - 2.19%), რაც რაოდენობაში წარმოადგენს 18500 ადამიანს, მათ შორის 6900 ადამიანი თბილისში, 700 ბათუმში, 800 ქუთაისში, ხოლო 10,100 საქართველოს სხვა არეალში.

2019 წელს ჩატარებული ქცევაზე ზედამხედველობის კვლევის შედეგების შესაბამისად მსმ პოპულაციაში აივ ინფექციის პრევალენტობა შეადგენს 21.5%-ს თბილისში, 15.6%-ს ბათუმში და 9.6%-ს ქუთაისში. თბილისსა და ბათუმში აივ დადებითი მსმ-ების უმრავლესობა 25-34 წლისაა, ხოლო ქუთაისში 35 წელს ზემოთ ასაკის.

ამავე კვლევის თანახმად, საკმაოდ მაღალია მსმ პოპულაციაში ნარკოტიკების მოხმარების მაჩვენებელი, კერძოდ კი უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში არაინექციური ნარკოტიკების მოხმარების მაჩვენებელი შეადგენს 75%-ს თბილისში, 48%-ს ქუთაისში და 43.9%-ს ბათუმში. აღნიშნული მაჩვენებლები კიდევ უფრო იზრდება 24 წელზე ნაკლები ასაკის მსმ-ში 78.5%-ს თბილისში, 54%-ს ქუთაისში და 60%-ს ბათუმში.

3.1.2. კომერციული სექს მუშაკები

კომერციულ სექს მუშაკ ქალებში პოპულაციის ზომის შეფასებისა და ქცევაზე ზედამხედველობის უკანასკნელი კვლევა ჩატარდა 2017 წელს. აღნიშნული კვლევის შედეგების შესაბამისად კომერციულ სექს-მუშაკ ქალთა (როგორც ქუჩაში ისე დაწესებულებებში მომუშავე სექს მუშაკები) რაოდენობა შეადგენს 600-ს თბილისში და 700-ს ბათუმში. საკმაოდ დაბალია ამ პოპულაციაში აივ ინფექციის გავრცელება, აღნიშნული კვლევის შესაბამისად 2017 წელს პრევალენტობამ შეადგინა 1.5% თბილისში და 0% ბათუმში. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში აივ ინფექციის პრევალენტობა სექს მუშაკებში სტაბილურად მერყეობს აღნიშნულ დიაპაზონში, როდესაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 2009 წელს, 1.9% თბილისში და 0.8% ბათუმში.

აღსანიშნავია, რომ მსმ პოპულაციაში 2019 წელს ჩატარებული ქცევაზე ზედამხედველობის კვლევის თანახმად რესპოდენტთა 6.6% თბილისში, 22.3% ბათუმში და 10.6% ქუთაისში ადასტურებს სქესობრივი კონტაქტის პრაქტიკას მატერიალური სარგებლის სანაცვლოდ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში.

3.1.3. ნარკოტიკების მომხმარებელი ადამიანები

2017 წელს ჩატარებული პოპულაციის ზომის შეფასების კვლევის თანახმად ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების სავარაუდო რაოდენობა შეადგენს 52500 ადამიანს, რაც 18-64 წლის ასაკის მოსახლეობაზე გადათვლით შეადგენს 2.24%-ს, ხოლო ზოგადი მოსახლეობის 1.41%-ს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს იკავებს მსოფლიოში მესამე ადგილს ზოგად მოსახლეობაში ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების პრევალენტობით.

2017 წელს ჩატარებული ქცევაზე ზედამხედველობის კვლევის შედეგების თანახმად ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებს შორის აივ ინფექციის პრევალენტობა მერყეობს 0.9%-დან რუსთავეში 5.1%-მდე ბათუმში, პრევალენტობა თბილისში წარმოადგენს 1.2%-ს.

აღსანიშნავია, ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში C ჰეპატიტის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები, როდესაც კვლევის შერჩევის მთლიან ნიმუშში 63.2%-ს აღმოაჩინდა დადებითი პასუხი. ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მაღალია C ჰეპატიტის გავრცელება თბილისსა (74.1%) და ბათუმში (74.5%).

3.1.4. ლბტ ქალები

ქვეყანაში არ არსებობს ან ფრაგმენტულია ლესბი, ბი და ტრანსგენდერი ქალების პოპულაციის ზომის ან მათი აივ/შიდსთან კავშირის, პრევალენტობისა და საჭიროებების მონაცემები ან მტკიცებულებები.

მიუხედავად ამისა სათემო დონეზე არსებული განწყობები და ინფორმაცია მიუთითებს ლბტ ქალების აივ ინფექციისადმი მოწყვლადობაზე და მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის მზარდ საჭიროებაზე. სოციალური და ქცევითი მახასიათებლების გათვალისწინებით ლბტ ქალები ხასიათდებიან მსმ თემთან მჭიდროდ დაკავშირებული სოციალური კონტაქტებით, სივრცითა და ქცევით, მათ შორის ნარკოტიკების მოხმარებისა და სექსუალური პრაქტიკების გაზიარებით.

3.2. გენდერის ნიშნით ძალადობა აივ/შიდსის საკვანძო პოპულაციებში - ქვეყანაში არსებული სიტუაცია

ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი დამოკიდებულები ქალების მიმართ, ასევე განსხვავებული გენდერული თუ სექსუალური ორიენტაციის ადამიანების მიმართ, ზრდის აივ/შიდსის მაღალი რისკის ჯგუფების: ლბტ, სექს მუშაკი და ნარკოტიკების მომხმარებელი ქალებისა და მსმ-ების მოწყვლადობას როგორც გენდერული ნიშნით, ისე ინტიმური პარტნიორის ძალადობის მიმართ. იმის გამო, რომ ეს ჯგუფები დომინანტური სოციალური, სექსუალური თუ გენდერული ნორმის მიღმა ხვდებიან, ხშირად ხდებიან დისკრიმინაციის და ძალადობის მსხვერპლნი. თუმცა, განსხვავებულია თითოეულ ჯგუფის მიმართ არსებული ძალადობის ფორმები, მათზე რეაგირების გამოწვევები და ძალადობისაგან დაცვისა და დახმარების საჭიროებები.

3.2.1. სექს-მუშაკი ქალები

სექს-მუშაკი ქალები სხვადასხვა ფორმის ძალადობასა და დისკრიმინაციას განიცდიან როგორც ინტიმური პარტნიორების და კლიენტების, ისე ოჯახის, საზოგადოებისა და სხვადასხვა სტრუქტურების და სისტემების მხრიდან, ხოლო ამ დარღვევებზე მათთვის სამართლებრივი დაცვის საშუალებები არ არის ხელმისაწვდომი.

- **პოლიციის მხრიდან ძალადობა** - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის “გენდერული ძალადობა სექსმუშაკების მიმართ და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერები” 2018 წლის ანგარიშის თანახმად საქართველოში ფართოდაა გავრცელებული და რეგულარული ხასიათი აქვს სექს მუშაკებზე ძალადობას პოლიციის მხრიდან, რომელიც ვლინდება ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალურ ძალადობითა და იძულებით. ხშირია პოლიციის მხრიდან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შეფარდების პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც პროსტიტუციის ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, ჯარიმების შეფარდება ხდება სამართალდამცავი ორგანოებისათვის წინააღმდეგობის გაწევისათვის.

პოლიციის მხრიდან ძალადობის უკიდურეს პრობლემას წარმოადგენს სექს-მუშაკთა იძულება ანაზღაურების გარეშე სექსუალური მომსახურების გაწევაზე, ვინაიდან აღნიშნულზე უარის შემთხვევაში სექს-მუშაკების მიმართ პოლიცია იყენებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობას და შევიწროებას, სექს-მუშაკები იძულებულნი არიან სექსუალურ მომსახურებაზე დათანხმდნენ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და თანადგომას მიერ 2017 წელს ჩატარებული მიმოხილვის “ლბტ და სექს-მუშაკ ქალთა უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში” თანახმად ხშირია შემთხვევები, როდესაც კომერციულ სექსში ჩართული ქალების, მათ შორის ტრანსგენდერი ქალი სექს-მუშაკების თავშეყრის ადგილების დაშლა ხორციელდება პოლიციის თანამშრომლების მხრიდან.

- **ძალადობა კლიენტების მხრიდან** - ხშირია სექს მუშაკებზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა, იძულება, შანტაჟი და აღევნების სხვადასხვა ფორმები კლიენტების მხრიდან. სექსმუშაკის დამანტაჟების მიზნით ხშირია ასევე კლიენტების მხრიდან მათი პერსონალური მონაცემების გავრცელების მუქარა ან მონაცემების გავრცელება, მათ შორის ინტერნეტ საშუალებებით.

2018 წლის “სტიგმა, დისკრიმინაცია და ძალადობის ფორმები ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელ და სექს-ბიზნესში ჩართულ ქალებში” თვისებრივი კვლევა აღნიშნავს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც სექს-მუშაკი ქალები ხდებიან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, მაშინ, როდესაც ისინი უარს ამბობენ სექსობრივი ურთიერთობის გარკვეულ ფორმაზე და/ან კლიენტი ვერ ამყარებს სექსობრივ აქტს.

სექს მუშაკებს შორის 2017 წელს ჩატარებული ქვევზე ზედამხედველობის კვლევის შესაბამისად თბილისში კვლევის რესპოდენტთა 95% აღნიშნავს, რომ ყოფილა ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი, ძირითადად კლიენტების მხრიდან. აღნიშნული კვლევის თანახმად თბილისში სექს-მუშაკების 21% და ბათუმში - 16.7% ყოფილა რაიმე სახის ძალადობის მსხვერპლი ბოლო ერთი წლის განმავლობაში.

- **ოჯახში ძალადობა** - მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სექს მუშაკ ქალებზე ძალადობა ოჯახში, როგორც ინტიმური პარტნიორის, ისე ოჯახის სხვა წევრების მხრიდან. იკვეთება, ძალადობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა ეკონომიკური ძალადობა, საცხოვრებლის დატოვების იძულება, ფიზიკური ძალადობა, შეურაცყოფა და მუქარა.
- **სამედიცინო დაწესებულებები** - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და თანადგომას მიერ 2017 წელს ჩატარებული მიმოხილვის “ლბტ და სექს-მუშაკ ქალთა უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში” თანახმად მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დისკრიმინაციული და ღირსების შემლახავი დამოკიდებულებები სამედიცინო დაწესებულებებში, რის გამოც მნიშვნელოვნად იზღუდება სამედიცინო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა როგორც სექს-მუშაკი ქალებისათვის, ისე ტრანს სექს მუშაკი ქალებისათვის.

‘სტიგმა, დისკრიმინაცია და ძალადობის ფორმები ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელ და სექს-ბიზნესში ჩართულ ქალებში’ თვისებრივი კვლევის თანახმად სექს მუშაკები აწყდებიან გულგრილ დამოკიდებულებას, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას და ღირსების შემლახავ მოპყრობას სამედიცინო პერსონალის მხრიდან.

3.2.2. ნარკოტიკების მომხმარებელი ქალები

საქართველოში საკმაოდ მწირია მტკიცებულებები ნარკოტიკების მომხმარებელი ქალების გენდერული ნიშნით ძალადობაზე და გადამკვეთ გამოწვევებზე.

2018 წლის ‘სტიგმა, დისკრიმინაცია და ძალადობის ფორმები ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელ და სექს-ბიზნესში ჩართულ ქალებში’ თვისებრივი კვლევის თანახმად იკვეთება ნარკოტიკების მომხმარებელ ქალებზე ძალადობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა და ზეწოლა, ისევე როგორც საკუთრების (ქონება, ბინა, სახლი, წილი) იძულებით, შანტაჟის ან სხვა გზებით დათმობის ან ჩამორთმევის შემთხვევები. ამავე კვლევის, თანახმად მოძალადეობად გვევლინებიან პარტნიორები, ქმრები, ოჯახის წევრები, სამართალდამცველები.

მათი მხრიდან ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების დაბრკოლებას წარმოადგენს ძნელად ასატანი ფიზიოლოგიური სიმპტომის - ღკვეთის სინდრომის ქონის (ე.წ. „ლომკაში“ დარჩენის) შიში, რაც უკავშირდება ნარკოტიკზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ან არქონის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ უმეტესწილ შემთხვევებში, ნარკოტიკების ძირითადი მომწოდებელი ქალისათვის მისი პარტნიორი ან ქმარია.

ნარკოტიკების მოხმარების კრიმინალიზაცია მნიშვნელოვნად ართულებს მომხმარებელი ქალების შესაძლებლობას სამართლებრივი განვითარება მისცნ ძალადობის შემთხვევებს, გამომდინარე იქიდან, რომ პროცესში შესაძლოა მოხდეს მათი სისხლის სამართლებრივი დევნა მოხმარების გამო.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ნარკოტიკების მომხმარებელი ქალების მიმართ საზოგადოების მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება და სტიგმა-დისკრიმინაცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნარკოტიკების მომხმარებელი მამაკაცების, მასტიგმატიზებული დამოკიდებულება ქალი მომხმარებლების მიმართ.

3.2.3. ლგბტ+ თემი

საქართველოში წინასწარგანწყობები ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების მიმართ მჭიდროდ უკავშირდება სექსიზმსა და ტრადიციულ წარმოდგენებს გენდერული როლების შესახებ. რიგიდულობა ტრადიციული გენდერული როლების შესახებ, გენდერული ბინარიზმი და ნეგატიური დამოკიდებულება გენდერულად არაკონფორმული ადამიანების მიმართ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნეგატიური განწყობების ჩამოყალიბებაზე არა მხოლოდ ტრანსგენდერი, არამედ ჰომოსექსუალი ადამიანების მიმართაც. კვლევები ადასტურებს, რომ გენდერული უთანასწორობის ინდექსი მნიშვნელოვან კავშირშია ქვეყანაში ჰომოფობიის დონესთან”. ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტრსექსი ქალების (ლბტი ქალები) სოციალური და ინსტიტუციური დისკრიმინაცია

და მიუღებლობა მრავალი ფორმით ვლინდება, როგორცაა სოციალური გარიყულობა, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობა.

საქართველოს სახალხო დამცველის “საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ” 2019 წლის ანგარიშის თანახმად 2019 წელს ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობა ქვეყანაში არ გაუმჯობესებულა. ლგბტ+ ადამიანები კვლავ განიცდიან ჩაგვრას, ძალადობას და დისკრიმინაციას. ამასთან, საზოგადოების დიდ ნაწილში არსებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობების გამო, ლგბტ+ პირებისთვის პრობლემას წარმოადგენს შრომის, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის და განათლების უფლებებით დაუბრკოლებლად სარგებლობა.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2019 წელს შესწავლილი საქმეების მიხედვით, ქვეყანაში კვლავ მაღალია გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ლგბტ+ პირების მიმართ ძალადობის ფაქტები. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG) 2018 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბოლო სამი წლის განმავლობაში რესპონდენტთა 88.3% (N=226) გახდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი; ფსიქოლოგიური/ემოციური ძალადობა განიცადა 85,5%-მა, სექსუალური ხასიათის ძალადობა და შევიწროება – 61.7%-მა, ხოლო ფიზიკური ძალადობა – 29.7%-მა.

ამავე კვლევამ გამოავლინა, რომ გამოკითხულთა 2/3 (66%, N=169) ერთხელ მაინც გამხდარა დისკრიმინაციის მსხვერპლი ბოლო ორი წლის მანძილზე. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ჰომო/ბი/ტრანსფობიის დონე რეგიონებში უფრო მაღალია, ვიდრე თბილისში, რაც აისახება კიდევაც ლგბტ+ ჯგუფის წევრების გამოცდილებაზე დისკრიმინაციის თვალსაზრისით: რეგიონში მცხოვრები რესპონდენტების 74.4% (N=64) ერთხელ მაინც გამხდარა დისკრიმინაციის მსხვერპლი, მაშინ როცა თბილისში 61.8%(N=105) აქვს მსგავსი გამოცდილება. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ არსებობს მჭიდრო კორელაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერის საფუძველზე დისკრიმინაციის გამოცდილებას, რესპონდენტების ეკონომიკურ მდგომარეობასა და შემოსავლებს შორის. რაც უფრო მაღალია რესპონდენტის ყოველთვიური შემოსავალი და სოციო-ეკონომიკური სტატუსი, მით ნაკლებად აქვს დისკრიმინაციის გამოცდილება.

თანასწორობის მოძრაობას “2019 წლის ეროვნული ანგარიში გვი კაცების, სხვა მსმ-ებისა და ტრანს* ადამიანების უფლებების დარღვევის შესახებ” ანგარიშის შესაბამისად ქვიარ ადამიანების უფლებების დარღვევის ყველაზე გავრცელებული ფორმა საჯარო სივრცეებში (ქუჩაში, ბარში და ა.შ) სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფაა. გარდა ამისა, ხშირია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის ან/და პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალის გავრცელების მუქარის შემთხვევები.

ლგბტ+ თემის წევრები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ოჯახში ჩადენილი ჰომო- და ტრანს ფობიური ძალადობის მიმართ. 2017 წელს მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ლგბტ+ ადამიანთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის ძირითადი ტენდენციები. ჯგუფის წევრთა მიმართ ოჯახში ძალადობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს კვლევის შედეგად გამოვლენილი დისკრიმინაციის გამომწვევი მიზეზებიდან შემდეგი: ტრადიციული ოჯახების შენარჩუნების მნიშვნელობა და ‘ტრადიციული ფასეულობების’ ზრდა; და არანორმატიული სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის არანორმალურად მიჩნევა.

WISG-ის მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით ლგბტ რესპოდენტების 67.2%-ს (N=172) ბოლო სამი წლის მანძილზე განუცდია ძალადობა ოჯახის წევრის მხრიდან. რაც შეეხება ძალადობის გამოყენებულ ფორმებს, 64,1%-ზე ოჯახის წევრი განუწყვეტილ ახორციელებდა ფსიქოლოგიურ ძალადობას, მაშინ როდესაც 19.5%-ზე ძალადობდნენ ფიზიკურად. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა 71.9%-მა აღნიშნა, რომ დასჭირდა ფსიქოლოგიური დახმარება, 16.9%-ს - სამედიცინო ჩარევა; 41.3% საართლებრივი, ხოლო 43%-ს სოციალური დახმარება. 22.1%-ს დაუდგა თავშესაფრის საჭიროება.

WISG-ის “ინტერსექციური დისკრიმინაცია და ლგბტ+ ადამიანები - სამართალწარმოების ანგარიში” 2018 წლის ანგარიშის თანახმად, განსაკუთრებით ხშირია ლბტ+ თემის წევრების მიმართ პარტნიორის მხრიდან ე.წ. „იძულებითი ქამინგაუთის” მუქარა და ადგილი აქვს შანტაჟს მსხვერპლის სექსუალური ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებით.

კვლავ დაბალია ლგბტ+ პირთა მიერ ძალადობის შემთხვევების სამართალწარმოება. სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშის შესაბამისად, ლგბტ+ თემის წარმომადგენლები საქართველოს

სახალხო დამცველის აპარატისადმი მიმართვისას ხშირად უთითებენ, რომ როდესაც მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის თაობაზე პოლიციას მიმართავენ, დამამცირებელი მოპყრობის, ჰომოფობიური დამოკიდებულების, სიტყვიერი შეურაცხყოფის ან/და გულგრილობის მსხვერპლნი ხდებიან.

საქართველოში მცხოვრები ტრანსგენდერი ადამიანებისათვის მიუწვდომელია ტრანსსპეციფიკური სამედიცინო პროცედურები, მათ შორის ჰორმონული თერაპია, სქესის კლავმინიჭების ქირურგიული ოპერაცია და სხვა. არ არსებობს ტრანსგენდერ ადამიანებზე ზრუნვის სათანადო წესით აღიარებული კლინიკური გაიდლაინი და პროტოკოლი. ამას გარდა, ტრანსგენდერი ადამიანები ვერ ახერხებენ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილებას, იმის გამო რომ ქვეყანაში არ არსებობს გენდერის სამართლებრივი აღიარების საკანონმდებლო და მექანიზმი, რაც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავალ დაბრკოლებას უქმნის და ე.წ. „იძულებითი ქამინგუთის“ გამუდმებულ მიმში ამყოფებს.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან სექს-მუშაკი ტრანსგენდერი ქალები, რადგან ისინი სექს-სამუშაოსთან დაკავშირებული სტიგმის გარდა, ტრანსფობიურ მოპყრობასაც აწყდებიან. WISG-ის სამართალწარმოების ანგარიშის თანახმად, „2017 წელს კვლავ აქტუალური იყო ტრანსგენდერი ქალების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაკავების საკითხი. ასეთი მოპყრობის მსხვერპლნი ყველაზე ხშირად სექსმუშაკი ტრანსგენდერი ქალები ხდებოდნენ. დაკავება, რიგ შემთხვევაში, ე.წ. „პლემკის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ხდებოდა, თუმცა, სხვა ადგილებშიც მრავალი შემთხვევა დაფიქსირდა. უმრავლეს შემთხვევაში დაკავებას წინ უძღოდა ქალების მხრიდან პოლიციის გამოძახება მათ მიმართ განხორციელებული ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულის ან/და ინციდენტის ფაქტზე. პოლიციის მიერ წინა წლების მსგავსად, ქალების დასაკავებლად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166 (წვრილმანი ხულიგნობა) და 173 (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლები გამოყენებოდა.

ცალკეული ჯგუფის სისტემური დისკრიმინაციის სოციალური მიმდებლობა ძალადობის ერთგვარ ლეგიტიმაციას ახდენს, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს და ზრდის ჯგუფის წევრებზე ძალადობის ალბათობას და გზას უხსნის დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის ლგბტი ადამიანებისთვის სხვა მოქალაქეების თანასწორად ისარგებლონ საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული პოზიტიური ცვლილებების შედეგებით და პირდაპირ აისახება ძალადობისგან დაცვის მექანიზმის გამოყენების ხარისხზე.

3.3. გენდერული ნიშნით ძალადობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო და პოლიტიკა

ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად და ძალადობის აღმოსაფხვრელად რიგი საკანონმდებლო თუ პოლიტიკური რეფორმების გატარების კუთხით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) რატიფიცირების პროცესში, კონვენციასთან ჰარმონიზებისთვის შიდა საკანონმდებლო საქართველომ ცვლილებები შეიტანა დაახლოებით 30 ნორმატიულ აქტში.

აღნიშნული ცვლილებები აყალიბებს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის ვალდებულებას სახელმწიფოს მიერ ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის მისაღწევად, სცდება 2017 წლამდე არსებულ ოჯახში ჩადენილი დანაშაულების ფარგლებს და ფარავს ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულებების უფრო ფართო სპექტრს ვიდრე ეს კონვენციის რატიფიცირებამდე არსებობდა.

3.3.1. ძალადობა ოჯახში და ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობა

საქართველოს კანონმდებლობით ოჯახში ძალადობა და/ან ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობა ადამიანების უფლებადარღვევისა და უთანასწორო მოპყრობის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონით“ **ოჯახში ძალადობა** გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას

უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ოჯახში ძალადობის კონტექსტში მნიშვნელოვანია იმ პირთა წერის განსაზღვრა თუ სამართლებრივად ვინ შეიძლება იყოს მოძალადე. როგორც „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონით“ ისე „სისხლის სამართლის კოდექსის“ მიზნებისთვის ოჯახის წევრად მიიჩნევა: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღზრდელი(დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. აღნიშნული განმარტებაზე დაყრდნობით, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში საკმაოდ ფართოა იმ პირთა წრე, ვიხეც შეიძლება გავრცელდეს აღნიშნული კანონი.

ამავე კანონით, **ქალთა მიმართ ძალადობა** განისაზღვრება როგორც საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედება, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

გარდა ამისა, 2017 წლიდან, სტამბოლის კონვენციის შესაბამისად, სისხლის სამართლის წესით დასჯადი გახდა შემდეგი ქმედებები: ქორწინების იძულება, აღევნება, ქალის სასქესო ორგანოს დასახიჩრება, იძულებითი სტერილიზაცია. შეიცვალა გაუბატოების მუხლის ფორმულირება და ჩამოყალიბდა ფართო გაგებით, როგორიცაა „პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით“. ქორწინების მინიმალური ასაკი გახდა 18 წელი, ყოველგვარი გამოწვევის გარეშე. ასევე განისაზღვრა სექსუალური შევიწროება და აღნიშნული ქმედება გახდა დასჯადი.

3.3.2. ძალადობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკანონდებლო ხარვეზი

სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შედეგად, საქართველოს კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით ძალადობისგან დაცვის მექანიზმები და სერვისები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. აღნიშნული მექანიზმების გამოყენება ახლა შესაძლებელია არა მხოლოდ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, არამედ გენდერული ნიშნით ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისთვისაც. მიუხედავად ამისა, ძალადობის პრევენციის და აღმოფხვრისკენ მიმართული ზომები და მსხვერპლთა მხარდაჭერის მექანიზმები, ჰეტერონორმატიული პერსპექტივითაა შემუშავებული და ნაკლები ყურადღება ეთმობა ძალადობის კუთხით აივ-ინფიცირების მაღალი რისკის ჯგუფების წინაშე მდგარ გამოწვევებს.

ღებტი ადამიანები, რომლებიც ქვეყანაში არსებული ჰომოფობიური განწყობების გამო ხშირად ხვდებიან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, მარგინალიზაციის, ბულინგისა და სოციალური გარიყვის მსხვერპლნი, საჯარო სივრცეში თუ სხვადასხვა ინსტიტუციაში, სრულფასოვნად არ არიან მოცულნი ძალადობისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმებით ან პრობლემურია ზოგიერთი კანონის აღსრულება აღსრულების ეფექტიანი მექანიზმის არარსებობის გამო. სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების სათანადო კვალიფიკაცია და ადეკვატური გამოძიება კვლავ გამოწვევად რჩება.

საქართველოში ძალადობასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირების ჩარჩო მაგალითად არ იცნობს ძალადობასთან დაკავშირებული საერთაშორისო კანონმდებლობით (მაგ. სტამბოლის კონვენციით) გათვალისწინებულ **გენდერულ ძალადობას/გენდერულ დანაშაულს**.

ამას გარდა, სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე არ გამოყოფს **ოჯახის გარეთ ჩადენილ ფსიქოლოგიურ ძალადობასა და ფემიციდს** - გენდერის ნიშნით ჩადენილ ქალის მკვლელობას. საქართველოს კანონმდებლობაში „ფემიციდი“ ცალკე მუხლად არსად გვხვდება და ექცევა განზრახ მკვლელობის ან თვითმკვლელობამდე მიყვანისა და სხვა მსგავსი მუხლების კატეგორიაში.

საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ არ მოიცავს დისკრიმინაციის ამკრძალავ დებულებას. ასეთი დებულების არარსებობა ზრდის ლბტი ქალების მიმართ ჰომოფობიური და ტრანსფობიური ძალადობისა და დისკრიმინაციის რისკს და მნიშვნელოვნად აფერხებს მათ მიერ ძალადობისგან დამცავი მექანიზმით სარგებლობას სხვა ქალების თანასწორად.

საქართველოს კანონმდებლობა ასევე არ ცნობს **ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობას** (intimate partner violence (IPV)) და ერთი და იმავე სქესის პარტნიორებს შორის ქორწინებას ან სხვა სამართლებრივ კავშირს, (მაგალითად სამოქალაქო პარტნიორობას), მათ ერთობას სამართლებრივი, პოლიტიკური და კულტურული აღიარების მიღმა ტოვებს, რაც პარტნიორებს შორის წარმოშობილი ძალადობრივი აქტების იდენტიფიცირების, მათზე რეაგირებისა და აღმოფხვრისათვის მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნის. თუმცა, თანაცხოვრების ფორმით არსებული პარტნიორული ურთიერთობის შემთხვევაში, ლგბტ წყვილებს შორის ძალადობის რეგულირების თეორიული შესაძლებლობები მაინც არსებობს გამომდინარე იქიდან, რომ 2017 წელს გატარებული ცვლილებების შედეგად, საქართველოს კანონში „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, ოჯახის წევრთა წრე გაფართოვდა და მოიცვა როგორც არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, ასევე ის პირებიც, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

საქართველოში ერთნაირსქესიან წყვილებს, მათ შორის ლესბოსელ და ბისექსუალ ქალებს არ აქვთ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება. ერთნაირსქესიანი წყვილებისათვის ხელმოწევაშია სამოქალაქო პარტნიორობაც.

ასევე პრობლემატურია **ტრანსგენდერ ადამიანთა გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხი**. იმის გამო, რომ ქვეყანაში არ არსებობს გენდერის სამართლებრივი აღიარების მარეგულირებელი კანონმდებლობა, განსხვავება ადამიანის გენდერულ თვითგამოხატვასა და სქესის შესახებ ჩანაწერს შორის ხშირად გამხდარა ტრანსგენდერი ადამიანებისათვის დამაბრკოლებელი ბარიერი არა მხოლოდ ძალადობისაგან თავის დაცვის კუთხით, არამედ დასაქმებისა და განათლების მიღების შესაძლებლობებზე წვდომის არსებითი შემაფერხებელი ფაქტორი.

აღსანიშნავია, რომ გენდერულ ძალადობასთან საბრძოლველად და ამ კუთხით კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებისა, **სექსუალურ ძალადობას** ეს პროგრესი თითქმის არ შეხება. ასეთი ძალადობა კვლავ რჩება გენდერული ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე, დაფარულ და დაუსჯელ ფორმად. საქართველოს არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს სექსუალური ძალადობისთვის ეფექტიან, დაზარალებულზე ორიენტირებულ, გენდერულად სენსიტიურ სამართლებრივ მექანიზმებს. ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის მართლმსაჯულება ხელმოწევაშია.

სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შედეგად სისხლის სამართლის კოდექსში სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით შესული ცვლილებების მიუხედავად, კანონმდებლობა კვლავ არ აკმაყოფილებს კონვენციის (მუხლი 36) და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს, რომელთა თანახმადაც **სექსუალური ძალადობის დეფინიცია უნდა ეყრდნობოდეს მსხვერპლის თანხმობის არარსებობას, ან მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების ფართო სპექტრს, ხოლო ძალადობა უნდა იყოს მისი დამამძიმებელი გარემოება.**

ასეთი ხარვეზები საკმაო სივრცეს ტოვებს ადგილობრივ კანონმდებლობაში სხვადასხვა ძალადობის ფორმებისა და მოწყვლადი ჯგუფების, განსაკუთრებით აივ-ინფექციის საკვანძო ჯგუფების, სამართლებრივი დაცვის, მართლმსაჯულების განხორციელებისა და დახმარების კუთხით. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ ხშირ შემთხვევებშიც ამ ჯგუფებთან დაკავშირებული ძალადობის პრობლემა ზოგადი წესის შესაბამისად წყდება, არ არის გათვალისწინებული ძალადობის მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკა, რაც ვერ უზრუნველყოფს ამ ჯგუფების ძალადობისაგან ეფექტიან სამართლებრივ დაცვასა და დახმარებას.

3.3.3. ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვისა და დახმარების ღონისძიებები

ოჯახში ძალადობისა და ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულებების აღსაკვეთად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესაბამისი ღონისძიებები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მოძალადის მიერ მსხვერპლის მიმართ განხორციელებული ქმედებას არ აქვს სისხლისსამართლებრივი ხასიათი და არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ზემოაღნიშნული კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ოჯახში ძალადობის ადვოკატისათვის გამოიყენება ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმი: შემაკავებელი და დამცავი ორდერი.

შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის ღონისძიებები. იგი გამოიცემა ერთ თვემდე ვადით. დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის ღონისძიებები. იგი გაიცემა 6 თვემდე ვადით და მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო.

მსხვერპლის მოძალადისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად, შემაკავებელი/დამცავი ორდერი შესაძლებელია ითვალისწინებდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მოძალადის მსხვერპლის საცხოვრებელი სახლიდან გარიდება მიუხედავად იმისა, იგი ამ სახლის მესაკუთრეა თუ არა; მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის, მოძალადისაგან გარიდებას და მათ თავშესაფარში მოთავსების საკითხებს; მოძალადისათვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას; მოძალადის არასრულწლოვნისაგან განცალკევების საკითხებს; მოძალადის მსხვერპლთან მიახლოების საკითხებს; და სხვა საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

ძალადობის მსხვერპლს სტატუსი ადამიანს ენიჭება ადმინისტრაციულ სამართლებრივი მექანიზმების - დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემის გზით, ხოლო დაზარალებულის სტატუსი განისაზღვრება სისხლისსამართლებრივი მექანიზმის მეშვეობით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ დასახელებულთაგან არც ერთი მექანიზმი არ არის გამოყენებული, ოჯახში ძალადობის მსხვერპლს შეუძლია მოითხოვოს სტატუსის მინიჭება, რომელიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი შესაბამისი ჯგუფის მიერ შეიძლება იქნას მინიჭებული. მსხვერპლის სტატუსის მინიჭებით ოჯახში ძალადობის მსხვერპლს შეუძლია მიიღოს კანონმდებლობის მიხედვით განკუთვნილი უფლებები და გარანტიები, მათ შორის ისარგებლოს ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრის სარეაბილიტაციო სერვისებით და/ან თავშესაფარში განთავსებით.

სტამბოლის კონვენციის უპირატესი მოთხოვნაა, რომ „მსხვერპლთა უფლებების დამცავი ზომების მიღება, უზრუნველყოფილია ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე, როგორიცაა სქესი, გენდერი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულება, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობა, ეროვნულ უმცირესობასთან კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობა, ოჯახური მდგომარეობა, მიგრანტის თუ ლტოლვილის სტატუსი, ან სხვა ნიშნით“. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობისგან დაცვის მექანიზმები პეტეროსექსუალ წყვილებთან ერთად გავრცელდეს ჰომოსექსუალ წყვილებზეც და ითვალისწინებდეს ცალკეული დაუცველი ჯგუფის წევრების სპეციფიკურ საჭიროებებს.

გენდერული თანასწორობასა და ძალადობასთან დაკავშირებული ეროვნული მექანიზმები და სამოქმედო გეგმები

ქვეყანაში ძალადობასთან და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულების კუთხით შექმნილია სხვადასხვა მექანიზმები:

- გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის საფუძველზე პარლამენტში ჩამოყალიბებულია **გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭო**, რომლის ძირითადი ამოცანაა გენდერული საკითხების სისტემატური და კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფა.
- ამავე კანონის საფუძველზე, 2013 წელიდან **სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი** ახორციელებს გენდერული თანასწორობის კუთხით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მონიტორინგს.

- ასევე ამავე კანონის საფუძველზე 2017 წლიდან ფუნქციონირებს **გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისია**, რომელსაც ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მისი პრევენციის, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაში ხელშეწყობასა და მათი საქმიანობის კოორდინაციასთან ერთად ავალთ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავება, ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი უწყებების კოორდინაცია და მონიტორინგი.
- **ოჯახში ძალადობის აღკვეთის დონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს** უფლებამოსილია ხელი შეუწყოს ეროვნული რეფერალური მექანიზმის ფარგლებში ოჯახში ძალადობის აღკვეთის, თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებისა და მათი საქმიანობის კოორდინაციას; შეიმუშაოს წინადადებები ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და მის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის, ხელშეწყობი მიზნების აღმოფხვრის თაობაზე; აგრეთვე, ხელი შეუწყოს აღნიშნულ სფეროში ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრასა და მის მონიტორინგს; ხელი შეუწყოს ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისათვის სტატუსის განსაზღვრისთვის საჭირო პროცედურების კოორდინირებასა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის გამართულად ფუნქციონირებას.
- **ოჯახში ძალადობის აღკვეთის დონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის** უფლებამოსილება ეროვნული რეფერალური მექანიზმის ფარგლებში არის ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისთვის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე სახელმწიფო ფონდის ინფორმირება.

გარდა ამისა ქვეყანაში აქტიურად ხორციელდება რელევანტური სამოქმედო გეგმების შემუშავება. მთავრობის მიერ შემუშავებული ბოლო, 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ითვალისწინებს ისეთ ზომებს, როგორიცაა: პრევენცია, ცნობიერების ამაღლება, ეროვნული რეფერალური მექანიზმის, კრიზისული ცენტრის, ცხელი ხაზისა და მონაცემთა შეგროვების სისტემების შექმნა, თუმცა აღნიშნულ გეგმაში აივ-ინფექცია შიდსის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები არასაკმარისადაა ასახული.

3.4. აივ შიდსის საკანონმდებლო ჩარჩო, პოლიტიკა და პრაქტიკა

როგორც უკვე აღინიშნა, სექს მუშაკი, ნარკოტიკების მოხმარებელი და ლბტ ქალები, ისევე როგორც მსმ თემი განსაკუთრებით მოწყვლადები არიან აივ ინფექციისა და სხვა სვს-ების მიმართ. მათი მოწყვლადობა გამწვავებულია მათ მიმართ საზოგადოებაში არსებული სტიგმითა და დისკრიმინაციით, ისევე როგორც ძალადობის მომატებული რისკით, რომელიც ხშირ შემთხვევაში ატარებს გენდერული ნიშნით ძალადობის ხასიათს და გამოვლენილია როგორც ინდივიდუალურ ისე სისტემურ დონეებზე.

აღსანიშნავია, რომ აივ/შიდსის და გამკვეთი სფეროების პოლიტიკა, სტრატეგია და პრაქტიკა არასაკმარისად პასუხობს აღნიშნულ საჭიროებებს და სახეზეა გენდერული ნიშნით ძალადობის საპასუხო ინტერვენციების, ისევე როგორც ქვეყანაში არსებული რეაგირების მექანიზმებთან კავშირების მკვეთრი ნაკლებობა.

აივ ინფექცია/შიდსის ეროვნული პასუხი მოქცეულია 2019-2022 წლების აივ შიდსის ეროვნულ სტრატეგიულ გეგმაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აღნიშნული სტრატეგია არ არის დამტკიცებული საქართველოს მთავრობის მიერ, თუმცა მიუხედავად ამისა ეროვნული პასუხის

დონისძიებები ხორციელდება როგორც აივ/შიდსის სახელმწიფო პროგრამის, ისე “შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის” პროგრამების ფარგლებში.

საქართველოს აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმა აღიარებს აივ/შიდსის და გენდერული ნიშნით ძალადობის პრობლემების ურთიერთკავშირს. სტრატეგიის გეგმაში მოცემულია პრევენციული სერვისის პაკეტი თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის, მათ შორის მსმ და კსმ პოპულაციებისთვის. გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია და მართვა პრევენციული პაკეტების შემადგენელი ნაწილია.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიით არ არის მოცული ლესბი და ბისექსუალი ქალები. დადებითია, რომ სტრატეგია რიგ შემთხვევებში გამოყოფს ტრანს თემის საჭიროებებს, მათ შორის მიუთითებს პრევენციულ მომსახურებებში სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინებასა და მომსახურებების დივერსიფიკაციის საჭიროებებზე, ისევე როგორც აღნიშნავს გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ძალადობის და სტიგმა დისკრიმინაციაზე მიმართულ საადვოკაციო აქტივობებს. თუმცა, ტრანს თემი მოქცეულია მსმ პოპულაციაზე მიმართული ინტერვენციების ფარგლებში, რაც სრულად უგულებელყოფს მათ გენდერულ იდენტობას და სპეციფიურ საჭიროებებს.

“აივ/შიდსის ავადობის და/ან მკურნალობის მონაცემთა ბაზებში სქესის მხოლოდ 2 კატეგორიაა გამოყოფილი - კაცი და ქალი. აივ/შიდსის ეროვნულ ანგარიშებშიც არცერთ ინდიკატორში ტრანსგენდერის შესახებ ინფორმაცია არ ხვდება”. ერთადერთი მომსახურება, რომელიც გამოკვეთილად მოიცავს ტრანსგენდერ ქალებს არის პრე-ექსპოზიციური პროფილაქტიკა.

ქვეყნის აივ პოლიტიკა, ასევე, ითვალისწინებს პოსტ-ექსპოზიციური პრევენციული მკურნალობის მიწოდებას ქალებისათვის, რომლებიც სქესობრივი ძალადობის მსხვერპლნი არიან. თუმცა აივ/შიდსის და გენდერული ძალადობის პროგრამებს შორის ინტეგრაცია ოპტიმალური არ არის. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არ არსებობს პოსტ-ექსპოზიციური პროფილაქტიკის დამტკიცებული პროტოკოლი, რომელიც მათ შორის უნდა ითვალისწინებდეს გენდერულად სენსიტიურ საკითხებს, შესაბამისად აღნიშნული მომსახურების გენდერულ ჭრილში ხელმისაწვდომობასა და ხარისხზე მსჯელობა რთულია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეროვნული პასუხის ფარგლებში არასათანადოდაა გათვალისწინებული რისკ-ჯგუფების ურთიერთკავშირი და ინტერსექციულობა. არსებული მომსახურებების ფარგლებში მკაფიოდ გამოიხატულია თითოეულ საკვანძო პოპულაციაზე მიმართული მომსახურებები და სახეზეა თემის სპეციფიური ქცევითი მახასიათებლების სისტემური გათვალისწინების ნაკლებობა, მათ შორის ლგბტ და მსმ თემში ნარკოტიკების მოხმარების მზარდი ტენდენციები და მათთან ასოცირებული აივ ინფიცირების რისკები. ზიანის შემცირების მომსახურებები მიმართულია მხოლოდ ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებზე და არ არის მორგებული ლგბტ და მსმ თემის საჭიროებებზე.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მკაფიოდ არსებული საჭიროებებისა აივ/შიდსის ეროვნული პასუხის ფარგლებში მიმდინარე პროგრამები და მათ ფარგლებში არსებული მომსახურებები არასაკმარისად დაკავშირებულია გენდერული ნიშნით ძალადობაზე რეაგირების ეროვნულ მექანიზმებსა და მომსახურებებთან. საკვანძო პოპულაციების გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართ მოწყვლადობის ფონზე, მნიშვნელოვანია გაიმართოს ქმედითი რეფერირების მექანიზმები, ისევე როგორც გენდერული ნიშნით ძალადობასთან დაკავშირებული მომსახურებები ინტეგრირდეს აივ პრევენციის პროგრამებში.

3.5. პოლიტიკის აღსრულების კუთხით არსებული სისტემური და სტრუქტურული ბარიერები

ნარკოპოლიტიკა - საქართველო გამოირჩევა ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ნარკოპოლიტიკით, რომელიც მიმართულია ადამიანების სისხლის სამართლებრივ დევნაზე და მოიცავს არაპროპორციულად მაღალ სანქციებს პირადი მოხმარებისა და პირადი მოხმარების მიზნით მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების ფლობისათვის.

ნარკოპოლიტიკა წარმოადგენს უპირველეს ბარიერს, ნარკოტიკების მომხმარებელი ადამიანებისათვის ხელი მიუწვდებოდათ ჯანდაცვის, მათ შორის აივ/ინფექციის და C ჰეპატიტის მომსახურებებზე. ხოლო ნარკოტიკების მომხმარებელი ქალები, ისევე როგორც ლგბტ და სექს მუშაკი ქალების თემის

წარმომადგენლები ორმაგად მოწყვლადები არიან როგორც ნარკოპოლიტიკის, ისე მომსახურებებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის მიმართ.

სექს მუშაკებზე ძალადობის საკანონმდებლო რეგულირება - საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სექს მუშაობა არ არის კრიმინალიზებული და მოქცეულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩარჩოში, ხოლო პროსტიტუციასთან დაკავშირებული რიგი ქმედებები სისხლის სამართლის დანაშაულია. ამის გამო, ძალადობის შემთხვევაში, სექს-მუშაკებს სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვა რიგ ბარიერებსა და რისკებს უქმნის, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ ისინი სექს-სამუშაოს ეწევიან, შესაძლოა, მათ ან მათთან დაკავშირებულ პირებს, დაეკისროთ ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. შედეგად ასეთი ტიპის სტრუქტურული საფრთხეები არსებითად უზღუდავს მათ ძალადობასთან დაკავშირებულ დაცვისა და დახმარების მექანიზმებსა და საშუალებებზე წვდომას. ამას გარდა, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი ან ტრანსგენდერი სექსმუშაკებიდან კიდევ უფრო იზრდება, ინტერსექციური დისკრიმინაციისა და მარგინალიზების საფრთხეები და შესაბამისად, გენდერული ნიშნით ძალადობის კუთხით მოწყვლადობა.

ლგბტ+ თემის სტიგმა, დისკრიმინაცია და ძალადობა - მნიშვნელოვან ბარიერებს წარმოადგენს ლგბტ+ თემის მიმართ საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება, სტიგმა და დისკრიმინაცია, რომელიც ხშირ შემთხვევაში იძენს ძალადობის ფორმებს. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ე.წ. სისტემურ სტიგმა დისკრიმინაციას, მათ შორის ჯანდაცვისა და სამედიცინო სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ აივ/მიდსის და გადამკვეთი სფეროების სტრატეგიები განიხილავს ამ ბარიერების მოგვარების აუცილებლობას და ხელშეწყობი გარემოს ფორმირებას, მოცემული საკითხები მრავალი წლის განმავლობაში რჩევა გადაუჭრელი. აუცილებელია ჯანდაცვის ინსტიტუტების მათ, შორის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ცენტრის როლისა და ლიდერობის გაზრდა საკვანძო პოპულაციებზე მოქმედი სისტემური ბარიერების აღმოფხვარში.

მიუხედავად **სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულებების** სისხლისსამართლებრივი რეგულირებისა, რომლებიც ჰომო/ბი/ტრანსფობიური მოტივით განპირობებული ძალადობის ფაქტებს მიემართება, პრობლემურია რეალობაში მათი აღსრულება. შემაკავებელ და დამცავ ორდერში ძალადობის განმაპირობებელი სექსუალური ორიენტაციის/გენდერული ნიშნის მითითება, არასავალდებულო პრაქტიკის გამო, თითქმის არ ხდება და არც შესაბამისი სტატისტიკა იწარმოება. ასევე სისხლისსამართლებრივ წარმოებაშიც სექსუალური ორიენტაციის ნიშნით სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოკვეთა ნაკლებად ხდება. აღნიშნული კი ართულებს ოჯახში ძალადობის ფორმების ზუსტ შესწავლასა და ანალიზს, ვერ ხდება ძალადობის ფორმისა და ინტენსივობის ხარისხის სწორი შეფასება და შესაბამისად, რთულდება მასთან ბრძოლის სწორი სტრატეგიის დასახვის გზებიც.

ამ ყველაფერს ისიც ართულებს, რომ არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა სახელმწიფო დონეზე, რომელიც აღრიცხავდა და შეისწავლიდა დისკრიმინაციას სექსუალური სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის (სოგი) საფუძველზე, ჰომო/ბი/ტრანსფობიური დანაშაულებათა ხასიათსა და გავრცელებას ქვეყანაში.

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძვლების გამოკვეთის ხარვეზები უკავშირდება რიგ ინსტიტუციურ ბარიერებს, როგორიცაა სამართალდამცავი და საგამოძიებო ორგანოების მუშაკთა მხრიდან არაეთიკური, არასათანადო დამოკიდებულება საკითხისადმი, მეორადი ვიქტიმიზაციისა და კონფიდენციალობის დარღვევის შიში და სხვა.

3.6. მულტი-სექტორული კოორდინაცია

გენდერული ნიშნით განხორციელებულ ძალადობის ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირებისათვის მნიშვნელოვანია მულტისექტორული მიდგომებისა და კოორდინაციის გაძლიერება იმ უწყებებსა და

ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მუშაობენ როგორც აივ-ინფექციის რისკ-ჯგუფებთან ასევე სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის კუთხით.

აღნიშნულ მხარეებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთკოორდინაციის გაღრმავება მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს ძალადობის დროული იდენტიფიცირება, ოპერატიული რეაგირება, მსხვერპლთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მისი პატივისა და ღირსების დაცვა, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეფექტური სისტემის ფორმირება და ძალადობის მსხვერპლთათვის გათვალისწინებული მომსახურება მიღების უზრუნველყოფა ინფორმირებული არჩევანის საფუძველზე.

კოორდინაციის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია ჩართულ მხარეთა მონაწილეობით შემუშავდეს დარგთაშორისი ინტერვენციისა და მიმართვის წესები, სამოქმედო გეგმები, მათ შორის დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგისა და შეფასების პროგრამები, რაც უნდა განხორციელდეს ჩართულ მხარეთა, მათ შორის ბენეფიციართა (თუ ეს შესაძლებელია), მონაწილეობით.

4. სტრატეგიული მიმართულებები

სტრატეგიული მიმართულება 1. საკანძო პოპულაციებში გენდერული ნიშნით ძალადობისა და მარგინალიზების საკანონმდებლო ჩარჩოსა და პოლიტიკის გაუმჯობესება

გარდა გენდერული ნიშნით ძალადობის ზოგადი საკანონმდებლო რეგულირების ხარვეზებისა, თითოეული საკანძო პოპულაცია ხასიათდება მისთვის სპეციფიურად დამახასიათებელი საკანონმდებლო გარემოს გამოწვევებით.

ღებტ თემის საჭიროებები, გენდერული ნიშნით ძალადობაზე რეაგირების საკანონმდებლო გარემოსთან მიმართებაში მოიცავს:

- ძალადობასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ჩარჩოს გაფართოვება და გენდერული ძალადობის/გენდერული დანაშაულის, ინტეგრირება ადგილობრივ კანონმდებლობაში;
- დისკრიმინაციის ამკრძალავი მარეგულირებელი ნორმის ინტეგრირება როგორც ოჯახში ძალადობის, ისე ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლთათვის დაცვისა და დახმარების სერვისების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და პოლიტიკის დოკუმენტებში;
- ინტიმური პარტნიორისგან ძალადობის შემთხვევაში, რეაგირების შესაბამისი მექანიზმების უზრუნველყოფა ღებტ თემისათვის, რათა მიიღონ ადეკვატური დაცვისა და დახმარების შესაძლებლობა. მათ შორის ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის კრიმინალიზება;
- ტრანსგენდერი ადამიანების გენდერის სამართლებრივი აღიარების უზრუნველყოფა;
- ტრანსსპეციფიკური სამედიცინო პროცედურების კლინიკური გაიდლაინებისა და პროტოკოლების შექმნა;
- ღებტ თემის მიერ ძალადობაზე, ისევე როგორც სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე, და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული ნიშნით შევიწროებაზე რეაგირების ეფექტიანი სამართლებრივი რეგულირებისა და გამოძიების უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით მონაცემთა შეგროვება და ანალიზი;
- სამოქალაქო პარტნიორობის საკითხის საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მექანიზმის შექმნა;

სექს მუშაკების სპეციფიური საჭიროებები, გენდერული ნიშნით ძალადობაზე რეაგირების საკანონმდებლო გარემოსთან მიმართებაში მოიცავს:

- საქართველოს კანონმდებლობაში სექს მუშაობის ცნების ინტეგრირება, საერთაშორისო კანონმდებლობისა და რეგულირების შესაბამისად, მათ შორის სექს მუშაკების დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფის თვალსაზრისით;
- სექს მუშაობის ღებუნაღიზაცია და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმება;

- ძალადობაზე, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობაზე, რეაგირების ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების უზრუნველყოფა.

ნარკოტიკების მოხმარებული ქალების საჭიროებები, გენდერული ნიშნით ძალადობაზე რეაგირების საკანონმდებლო გარემოსთან მიმართებაში მოიცავს:

- ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობაზე, მათ შორის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ ძალადობაზე რეაგირების ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების და მათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ნარკოტიკების მოხმარების გამო სამართალდამცავ ორგანოებთან მიმართვის თავშეკავების და ძალადობაზე რეაგირების მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის ბარიერების მოხსნა;
- ნარკოტიკების მოხმარებისა და პირადი მოხმარების მიზნით ფლობისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმება.

საკვანძო პოპულაციების უფლებრივი საკითხების ადვოკატირება - აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგია ხაზს უსვას სერვისებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობი გარემოს ფორმირების აუცილებლობას. თუმცა საკვანძო პოპულაციებთან მიმართებაში ეს მოიცავს, მხოლოდ რეპრესიული ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციაზე მუშაობას.

აივ/შიდსის ეროვნული პასუხი უფლებელყოფს მსმ და ლგბტ, ასევე სექს მუშაკთა თემის საკანონმდებლო და ხელშეშლელ გარემოს, რომელიც აივ ინფექციის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი ბარიერია.

სამოქმედო მიმართულებები:

მიმართულება 1.1. სექს მუშაობის საკანონმდებლო რეგულირების უზრუნველყოფა, მათ შორის ეროვნულ კანონმდებლობაში სექს მუშაობის ცნების ინტეგრირება და პროსტიტუციის დეპენალიზაცია/ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმება.

მიმართულება 1.2. ძალადობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს გაფართოება და გენდერული ძალადობის/გენდერული დანაშაულის ინტეგრირება ადგილობრივ კანონმდებლობაში.

მიმართულება 1.3. ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის რეგულირების ინტეგრირება ეროვნულ კანონმდებლობაში იმგვარად, რომ მოხდეს ერთი და იმავე სქესის წყვილებში ამგვარი ძალადობის კრიმინალიზება და მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი გახდეს დაცვისა და დახმარების სერვისები.

მიმართულება 1.4. ტრანსგენდერი ადამიანებისთვის თვითიდენტიფიცირებაზე დაფუძნებული გენდერის სამართლებრივი აღიარების საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მექანიზმის შექმნა ტრანსი თემისა და სათემო ორგანიზაციების ჩართულობით.

მიმართულება 1.5. ნარკოტიკების მოხმარების და პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკული საშუალებების ფლობის, შეძენისა და შენახვის დეკრიმინალიზაცია.

მიმართულება 1.6. გენდერული ნიშნით ძალადობაზე/ოჯახში ძალადობასა და დისკრიმინაციის ფაქტებზე რეაგირების ემედიოთი მექანიზმისა და სისტემის შექმნა მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკის გათვალისწინებით და ამგვარი ძალადობის ფაქტების მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

მიმართულება 1.7. ტრანსსპეციფიკური სამედიცინო პროცედურების კლინიკური გაიდლაინისა და პროტოკოლი შექმნა შესაბამისი სამედიცინო პერსონალის, ტრანსი თემისა და სათემო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით.

სტრატეგიული მიმართულება 1-ის მოსალოდნელი შედეგები

- ეროვნული პოლიტიკა, ასევე საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო ეფუძნება აივ/შიდსის საკვანძო პოპულაციების ძირეულ საჭიროებებს და ქმნის ხელსაწყოებს გარემოს, რათა მათ ხელი მიუწვდებოდეთ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და ჯანმრთელობაზე.
 - ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო შეცვლილია სტამბოლის კონვენციის ნორმების გათვალისწინებით, მათ შორის
 - კანონმდებლობაში ასახულია გენდერული ძალადობის/გენდერული დანაშაულის ცნება
 - გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის შესახებ ეროვნული კანონმდებლობა შეცვლილია იმგვარად, რომ სრულად იზიარებს სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლს და მისი დეფინიცია ემყარება მსხვერპლის თანხმობის არარსებობას
 - ეროვნულ კანონმდებლობაში ინტეგრირებულია ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის გაგება, რაც საშუალებას იძლევა კრიმინალიზებულ იქნას ერთი და იმავე სქესის წყვილებში გენდერის ნიშნით ძალადობა და/ან ოჯახში ძალადობა.
 - ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო უზრუნველყოფს ტრანსგენდერი ადამიანების მიერ თვითიდენტიფიცირებაზე დაფუძნებული გენდერის სამართლებრივ აღიარებას და საქართველოს იუსტიციის სამინისტროში შექმნილია კანონის აღსრულების ადმინისტრაციული მექანიზმი.
 - ნარკოტიკების მოხმარების და პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკული საშუალებების ფლობის, შეძენისა და შენახვის დეკრიმინალიზაცია.
 - გაუქმებულია სისცლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკული საშუალებების შეძენის, შენახვისა და ფლობისათვის.
 - საკვანძო პოპულაციების სპეციფიკის გათვალისწინებით, შექმნილია გენდერული ნიშნით ძალადობაზე/ოჯახში ძალადობასა და დისკრიმინაციისა ფაქტებზე რეაგირების მულტისექტორული ქმედითი მექანიზმები და სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საკვანძო პოპულაციების საჭიროებების დაფუძნებული პოლიტიკის და პრაქტიკის ფორმირებას.
 - შექმნილია ტრანსსპეციფიური სამედიცინო პროცედურების კლინიკური გაიდლაინი და პროტოკოლი.

სტრატეგიული მიმართულება 2: გენდერული ნიშნით ძალადობაზე რეაგირებისა და აივ/შიდსის პრევენციულ და სამკურნალო მომსახურებებს შორის ურთიერთკავშირის და რეფერირების მექანიზმების გაძლიერება

აივ ინფექციის საკვანძო პოპულაციებში, მათ შორის ნარკოტიკების მომხმარებელ, სექს მუშაკ, ლბტ ქალებსა და მსმ-ებში დაბალია ცოდნისა და ინფორმირებულობის დონე გენდერის, გენდერული ნიშნით ძალადობისა, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ძალადობაზე რეაგირების მექანიზმებსა და შესაძლებლობებზე. დამატებით, ამ პოპულაციებში დაბალია, საკუთარი თავის მიმართ ძალადობის აღქმადობა, რაც ასევე პირდაპირ უკავშირდება ცოდნასა და ინფორმირებულობას.

გამომდინარე აქედან, გამოიკვეთა აივ ინფექციის საკვანძო პოპულაციების ცოდნისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლებაზე მიმართული ინტერვენციების საჭიროება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ინტერვენციები უნდა იყოს განხილული როგორც გენდერსა და გენდერული ნიშნით ძალადობაზე, ისე აივ/შიდსსა და გადამკვეთ სფეროებზე მომუშავე ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების, მათ შორის ეროვნული სტრატეგიების და პროგრამების განუყოფელი ნაწილი.

ამასთანავე, ცოდნასა და ინფორმირებულობაზე მიმართული ინტერვენციები, უნდა განიხილებოდეს თითოეული საკვანძო პოპულაციის სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინებით, მათ შორის იმ ფაქტორთა გათვალისწინებით, რომლებიც ზრდიან ამ ჯგუფების მოწყვლადობას ძალადობის მიმართ და წარმოადგენენ შესაბამის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის ბარიერებს.

იმის გათვალისწინებით, რომ აივ ინფექციის საკვანძო პოპულაციების წარმომადგენლები არიან გენდერული ნიშნით ძალადობის მომატებული რისკს ქვეშ, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იყოს მათი ხელმისაწვდომობა ძალადობაზე რეაგირების უწყვეტ და ყოვლისმომცველ მომსახურებებზე. მნიშვნელოვანია ძალადობაზე რეაგირების არსებული მომსახურებები, მათ შორის პრევენციის სერვისები და კრიზისული ინტერვენცია, თავშესაფარი, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის მომსახურებები მორგებული იყოს საკვანძო ჯგუფების საჭიროებებს.

ძალადობაზე რეაგირება მისი იდენტიფიცირებით იწყება. ამისათვის მნიშვნელოვანია აივ პრევენციულ მომსახურებებში მოხდეს გენდერული ნიშნით ძალადობაზე რეაგირების მექანიზმების ინტეგრირება, და არსებულ მექანიზმებთან მძლავრი კავშირებისა და რეფერალური სისტემის უზრუნველყოფა. იმის გამო, რომ პრევენციული სერვისები ყველაზე მეტად ხელმისაწვდომია მოწყვლადი პოპულაციისათვის, კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას აღნიშნული მიდგომების ინსტიტუციონალიზაციისაკენ, რაც გულისხმობს ძალადობის იდენტიფიცირების, ამ კუთხით საჭიროებების გამოკვეთის, გადაუდებელი მხარდაჭერის აღმოჩენისა და რეფერირების მექანიზმების დანერგვას. ეს კი მოიცავს როგორც აივ პრევენციული მომსახურების მიმწოდებლების გადამზადებას გენდერსა და გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე, ასევე შესაბამისი პროტოკოლისა შექმნასა და აღმინისტრირებას სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციაში.

წამალდამოკიდებულ ქალებთან მიმართებაში ხანგრძლივადიანი რეაბილიტაციის სერვისით სარგებლობისას მნიშვნელოვანი ხდება როგორც მათი ნარკოტიკების მოხმარებასა და ზიანის შემცირების მომსახურებასთან კავშირის, ისე წამალდამოკიდებულებასთან დაკავშირებულ სარეაბილიტაციო მომსახურებაზე წვდომა. ამისათვის, რეკომენდებულია, კონკრეტული ქეისის მართვაში, ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესებისა და სურვილის გათვალისწინებით, ასევე ჩაერთოს პრევენციის/ჩანაცვლების თერაპიის შესაბამისი სოციალური მუშაკი/თანასწორ-განმანათლებელი, რომელიც კოორდინირებას გაუწევს ბენეფიციარისათვის საჭირო პრევენციული და ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისების მიწოდებას.

ძალადობის შედეგად მიღებული ფსიქოლოგიური ტრავმები და ემოციური მდგომარეობა შესაძლოა გახდეს დოზის გადაჭარბების წინაპირობა, შესაბამისად მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იქნას ნალოქსონის მიწოდება, რომელიც ზიანის შემცირების მომსახურებაში უფასოდ გაიცემა და რომლის კოორდინირება თანასწორგანმანათლებლის საშუალებით შეიძლება განხორციელდეს. ამასთანავე სასურველია, ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის თანამშრომლებს მიეცეთ ინსტრუქცია ზედოზირების იდენტიფიცირებისა, და გადაუდებელ შემთხვევებში, მართვის უნარ-ჩვევებზე.

ასევე მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს კავშირი ჩანცვლებითი თერაპიის პროგრამასთან, როგორც ამ პროგრამის არსებულ პაციენტებთან, რათა არ მოხდეს მათ მიერ თერაპიის მიღების წყვეტა. სურვილის შემთხვევაში, კი შესაძლებელია მოხდეს ბენეფიციარის ამ სერვისთან დაკავშირება.

ტრანსგენდერი ქალები საჭიროებენ მრავალმხრივ სოციალურ და სამედიცინო მხარდაჭერას, რომლის გაწევაც უნდა ხორციელდებოდეს მულტიფუნქციური სოციალური ჯგუფის მიერ, სადაც, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთვებიან ენდოკრინოლოგი და სხვა სამედიცინო თუ უფლებების დაცვის შესაბამისი მომსახურებები. შესაბამისად მნიშვნელოვანია გაიმართოს და გაფართოვდეს რეფერალური გადამისამართების ქსელი. ასევე, ტრანს თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაინერგოს შემთხვევის მართვის პრაქტიკა რომელიც უზრუნველყოფს ბენეფიციართა სრულ მხარდაჭერას.

ყველა საკვანძო პოპულაციისათვის მნიშვნელოვანია აივ ინფექციის პრევენციული მასალის, კონდომებისა და ლუბრიკანტების მიწოდება. ისევე როგორც აივ ინფექციაზე, სგგი-სა და C ჰეპატიტზე რუტინული ტესტირება და ტუბერკულოზის სკრინინგი, რისთვისაც საჭიროა ზიანის შემცირებისა და ტუბ-დისპანსერებში გადამისამართების მექანიზმის კიდევ უფრო გაუმჯობესება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გენდერულ ძალადობაზე რეაგირების მომსახურებების ფარგლებში, მოიხსნას საკვანძო პოპულაციებსა, მათ ქცევასთან, ისევე როგორც ჯანმრთელობის, მათ შორის აივ სტატუსთან დაკავშირებული, სტიგმა-დისკრიმინაციის, ნეგატიური დამოკიდებულებების და სენსიტიურობის ნაკლებობის ბარიერები.

სამოქმედო მიმართულებები:

მიმართულება 2.1. აივ ინფექცია/შიდსის პრევენციული, მხარდაჭერის, მკურნალობისა და მოვლის მიმწოდებელი ორგანიზაციებისა და მათი პერსონალის ცოდნისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლება გენდერული ნიშნით ძალადობასა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე და რეაგირების მექანიზმებზე.

მიმართულება 2.2. გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე მიმართული საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო მასალის შემუშავება და ინტეგრირება აივ/შიდსის პრევენციულ მომსახურებებში, ბენეფიციართა ინფორმირების მიზნით.

მიმართულება 2.3. გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციის, გამოვლენისა და ძალადობაზე რეაგირების მექანიზმებთან დაკავშირების/რეფერალის მომსახურებების ინტეგრირება საკვანძო პოპულაციებზე მიმართულ აივ პრევენციულ მომსახურებებში. მათ შორის შესაბამისი საოპერაციო სახელმძღვანელოს შექმნა საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების თანაბარმნიშვნელოვან პარტნიორად ჩართვის გზით.

მიმართულება 2.4. ძალადობაზე რეაგირების მომსახურებების მიმწოდებლებისა და მათი პერსონალის გადამზადება აივ ინფექციის საკვანძო პოპულაციების საჭიროებებსა და სპეციფიკებზე.

მიმართულება 2.5. გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციის მომსახურებებში საკვანძო პოპულაციებზე მიმართული პირველადი იდენტიფიცირებისა და გადაუდებელი რეაგირების ინტერვენციების ინტეგრირება ძალადობაზე რეაგირების მომსახურებების მიმწოდებლებში. მათ შორის შესაბამისი ორგანიზაციული პროტოკოლის შექმნა.

სტრატეგიული მიმართულება 2-ის მოსალოდნელი შედეგები

- გენდერული ნიშნით ძალადობაზე რეაგირების და აივ/შიდსის მომსახურებებს შორის რეფერირების მექანიზმები გამართულია და პასუხობს საკვანძო პოპულაციების კომპლექსურ ჯანმრთელობის და სოციალურ საჭიროებებს.
 - უზრუნველყოფილია აივ პრევენციულ და სამკურნალო მომსახურებებში ბენეფიციარების გენდერული ნიშნით ძალადობასთან დაკავშირებული საჭიროებების ეფექტიანი მართვა, მათ შორის გამოვლენა, ანალიზი, გადამისამართება და მხარდაჭერა.
 - უზრუნველყოფილია ძალადობაზე რეაგირების მომსახურებებში საკვანძო პოპულაციების საჭიროებებზე მორგებული მექანიზმების და მომსახურების არსებობა, მათ შორის შექმნილი და ინტეგრირებულია საკვანძო პოპულაციებზე მიმართული ძალადობის შემთხვევების პირველადი იდენტიფიცირებისა და გადაუდებელი რეაგირების ინტერვენციები და შემუშავებულია შესაბამისი ორგანიზაციული პროტოკოლი.

სტრატეგიული მიმართულება 3: ინსტიტუციური ძალადობის და სტიგმა/დისკრიმინაციის შემცირება

ინსტიტუციური ძალადობა და სტიგმა-დისკრიმინაცია, მათ შორის ყველაზე ხშირად გამოხატული სამართალდამცავი ორგანოებისა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მხრიდან მნიშვნელოვანი და გადამკვეთი პრობლემაა ყველა საკვანძო პოპულაციისათვის.

გამოიკვეთილია ამ პრობლემის მოგვარების საჭიროება, რომელიც მათ შორის მოიცავს ძალადობისა ან/და სტიგმა-დისკრიმინაციის შემთხვევაში, სამართალდამცავებისა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენების ქმედითი მექანიზმების დანერგვას. შესაბამისი რეაგირება, უნდა მოიცავდეს, ნებისმიერი ტიპის გადაცდომას, მათ შორის ძალადობის ნებისმიერ ფორმაზე, სტიგმა-დისკრიმინაციის, შევიწროვებისა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე, ისევე როგორც სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე უარის თქმის და კონფიდენციალურობის დარღვევაზე სამართლებრივი რეაგირების მყისიერ მექანიზმებს.

სამოქმედო მიმართულებები:

მიმართულება 3.1. თითოეული სამიზნე ჯგუფისათვის სამართალდამცავი და საგამოძიებო უწყების თანამშრომლებისთვის განკუთვნილ ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის ტრენინგ-კურსებში ლგბტ ადამიანების და სხვა დისკრიმინირებული ჯგუფების მიმართ მგრძნობელობის გაზრდაზე მიმართული საკითხების ინტეგრირება.

მიმართულება 3.2. სამედიცინო პერსონალის გადამზადება და ოჯახში ძალადობის/გენდერის ნიშნით ძალადობის უწყვეტი განათლების შესაბამის მოდულში რისკ-ჯგუფებთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირება.

სტრატეგიული მიმართულება 3-ის მოსალოდნელი შედეგები

- შემცირებულია სამართალდამცავ უწყებებსა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებში არსებული საკვანძო პოპულაციების ძალადობისა და სტიგმა/დისკრიმინაციის დონე, მათ შორის შექმნილია ამ ინსტიტუციების პერსონალის გათვითცნობიერების, ცოდნისა და მგრძნობელობის ამაღლების ინსტიტუციური საგანმანათლებლო მექანიზმები.
 - საკვანძო პოპულაციების სპეციფიკები, მათ შორის გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხები ინტეგრირებულია სამართალდამცავი და სამოძიები უწყებების თანამშრომელთა ფორმალური და არაფორმალური განათლების მექანიზმებში.
 - საკვანძო პოპულაციების სპეციფიკები, მათ შორის გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხები ინტეგრირებულია სამედიცინო პერსონალის განათლებისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების ფორმალურ მექანიზმებში.

სტრატეგიული მიმართულება 4: გენდერული ნიშნით ძალადობისა და აივ/შიდსის ეროვნული პასუხებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას აივ ინფექციის საკვანძო პოპულაციების საჭიროებების ყოვლისმომცველი გათვალისწინება, აუცილებელია გაიმართოს მყარი კოორდინაცია და თანამშრომლობა აივ/შიდსისა და გენდერული ნიშნით ძალადობაზე რეაგირების მექანიზმებსა და მომსახურებს შორის.

ძალადობის მსხვერპლი საკვანძო პოპულაციების წარმომადგენლები, ძალადობაზე რეაგირების მომსახურებების პარალელურად, უწყვეტად საჭიროებენ აივ პრევენციისა და მხარდაჭერის მომსახურებების მიღებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ერთის მხრივ მოხდეს თითოეულ პოპულაციაზე გამიზნული მომსახურებების ინტეგრირება, კავშირების დამყარება და რეფერალური ქსელის გამართვა ძალადობაზე რეაგირების მომსახურებებთან.

იმისათვის რომ მოხდეს ერთის მხრივ გენდერულად სენსიტიური აივ პოლიტიკის და სტრატეგიის და მეორეს მხრივ აივ სპეციფიკის გათვალისწინებით გენდერული პოლიტიკისა და სტრატეგიის დაგეგმვა და განხორციელება, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისი დაინტერესებული მხარეების და წარმომადგენლობების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების, პოლიტიკის ფორმირებისა და კოორდინაციის მექანიზმებში.

სამოქმედო მიმართულებები:

მიმართულება 4.1. გენდერული თანასწორობასა და ძალადობასთან დაკავშირებული ეროვნული მექანიზმებში საკვანძო პოპულაციების თემის წარმომადგენლების ჩართვა , განსაკუთრებით სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში.

მიმართულება 4.2. გენდერული ძალადობის ერთიან ეროვნულ რეფერალურ მექანიზმში საკვანძო პოპულაციებთან დაკავშირებული საჭიროებების ასახვა და შესაბამისი სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების ჩართვა.

მიმართულება 4.3. აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოში (CCM) გენდერზე, გენდერულ თანასწორობაზე და გენდერული ნიშნით ძალადობაზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართვა.

მიმართულება 4.4. გენდერული ნიშნით ძალადობის და მასზე რეაგირების საკითხების ინტეგრირება აივ/შიდსის ეროვნულ სტრატეგიულ გეგმაში.

მიმართულება 4.5. სექს მუშაკთა წინაშე მდგარი საკანონმდებლო ჩარჩოს, ასევე მსმ და ლგბტ თემის მიმართ სტიგმა-დისკრიმინაციის და ძალადობის, მათ შორის ინსტიტუციური ძალადობის რეგულირების ჩარჩოზე რეაგირების და შესაბამისი საადვოკაციო აქტივობების ინტეგრირება აივ/შიდსის ეროვნულ სტარტეგიაში.

სტრატეგიული მიმართულება 4-ის მოსალოდნელი შედეგები

- გაუმჯობესებულია კოორდინაცია გენდერული ნიშნით ძალადობისა და აივ/შიდსის გადაწყვეტილების მიმღებ და საკოორდინაციო მექანიზმებს შორის, მათ შორის უზრუნველყოფილია საკვანძო პოპულაციების გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხების ყოვლისმომცველი ინტეგრირება როგორც აივ/შიდსის, ისე გენდერული ნიშნით ძალადობის ეროვნულ პასუხებში.
 - საკვანძო პოპულაციების წარმომადგენლები ჩართულები არიან გენდერულ თანასწორობასა და ძალადობასთან დაკავშირებულ ეროვნულ მექანიზმებში და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.
 - გენდერული ძალადობის ერთიანი ეროვნული რეფერალური მექანიზმი ითვალისწინებს და ეფუძნება საკვანძო პოპულაციების სპეციფიურ საჭიროებებს.
 - გენდერზე, გენდერულ თანასწორობაზე და გენდერული ნიშნით ძალადობაზე მომუშავე ორგანიზაციები ჩართულები არიან აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოში (CCM).
 - აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმა ყოვლისმომცველად მოიცავს საკვანძო პოპულაციების გენდერული ნიშნით ძალადობისა და მასზე რეაგირების საკითხებს.
 - აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმა მოიცავს სექს მუშაკთა და ლგბტ+ თემის უფლებებსა და ჯანდაცვის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის ხელშემწყობი გარემოს ფორმირების საკითხებს, მათ შორის სექს მუშაკთა წინაშე მდგარი საკანონმდებლო ჩარჩოსა და ლგბტ+ თემის მიმართ სტიგმა-დისკრიმინაციასა და ძალადობაზე რეაგირების საკითხებს.

სტრატეგიული მიმართულება 5. გენდერის მეინსტრინგი და გენდერ ტრანსფორმაციული მიდგომების ინტეგრირება აივ/შიდსის ეროვნულ პასუხში

აივ ინფექციის ეროვნული პასუხში, მათ შორის მის ფარგლებში განხორციელებულ მომსახურებებში სუსტადაა ინტეგრირებული გენდერულად სენსიტიური მიდგომები, რომელიც ითვალისწინებს ქალთა და მამაკაცთა, ასევე განსხვავებული გენდერული იდენტობის მქონე ჯგუფების ინტერესებსა და საჭიროებებს.

